# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 1 თებერვალი, 2012 წელი.

№20 (6897)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.




## საქართველოსა და აშშ-ის პრეზიდენტების შეხვედრა ერთ საათს გაგრძელდა

თეთრი სახლის ოვალურ დარბაზში საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტების შეხვედრა ერთი საათის განმავლობაში გაგრძელდა. შეხვედრის დასრულების შემდეგ, მიხეილ სააკაშვილმა და ბარაკ ობამამ ჟურნალისტებისთვის განცხადებები გააკეთეს.

როგორც პრეზიდენტმა სააკაშვილმა აღნიშნა, შემდეგი არჩევნებისთვის საქართველოს პოლიტიკური სცენა უფრო გაფართოებული და პლურალისტური იქნება. საქართველოს პირველი პირის თქმით, ამას განაპირობებს ის, რომ ქვეყანა სხვა კონსტიტუციურ სისტემაზე გადადის.

„ჩვენ მადლობელი ვართ თქვენი მხარდაჭერისა და იმ თანამშრომლობისთვის, რომელსაც შეერთებული შტატებისგან ყველა დონეზე ვიღებთ. მინდა გითხრათ, რომ ეს ჩვენი რეგიონისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. თავისუფალი ვაჭრობის შესაძლებლობები ჩვენს ქვეყანას მნიშვნელოვნად დაეხმარება. ძალიან დიდი მადლობა იმ კომპლიმენტებისთვისაც, რომელიც რეფორმებთან დაკავშირებით გვითხარით. ეს რეფორმები ვერ მოხდებოდა, რომ არა თქვენი მხარდაჭერა და თქვენი ადმინისტრაციის რჩევები. ჩვენ ამას ვაფასებთ და მინდა გითხრათ, რომ შემდეგ საპარლამენტო არჩევნებში, რომელიც მალე გაიმართება, სხვა პოლიტიკურ კონსტიტუციურ სისტემაზე გადავდივართ. შემდეგი არჩევნები გააგრძელებს წინსვლას დემოკრატიისკენ და გვექნება უფრო გაფართოებული, პლურალისტური პოლიტიკური სცენა“, – აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

მისივე განმარტებით, საქართველოსა და აშშ-ის ურთიერთობები გაგრძელდება და მას ვერაფერი შეცვლის. „საქართველო ივლის პროგრესის მიმართულებით და ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერანაირად ვერ დავუბრუნდებით კორუფციულ სისტემას. ვივლით წინ“, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

## ბიძინა ივანიშვილის ღია წერილი ბარაკ ობამას

### მე და ჩემი პოლიტიკური პარტნიორები ვიღებთ პასუხისმგებლობას, რომ...

ძვირფასო პრეზიდენტო ობამა,

2011 წლის დასასრულს საბჭოთა კავშირის დაშლიდან 20 წელი შესრულდა. ოცი წლის წინათ, საქართველოს გაუჩნდა შანსი ლიბერალური დემოკრატიის პრინციპებზე საკუთარი სახელმწიფოებრიობა აღედგინა და თავისუფალ სამყაროს მიერთებოდა.

არავის ჰქონდა ილუზია, რომ ეს უმტკივნეულო და მარტივი პროცესი იქნებოდა. თუმცა, 2003 წლის „ვარდების რევოლუციამ“, ბევრ ადამიანს, ჩემი ჩათვლით, გაუჩინა იმის იმედი, რომ საქართველო პლურალისტური დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებების პატივისცემის და თავისუფალი, ღია საზოგადოების შენების გზას დაადგებოდა.

ჩვენი მოლოდინები დაიმსხვრა, როდესაც 2007 წლის მოწმენი გავხდით: სასტიკად დარბეული მშვიდობიანი მომიტინგეები, შტურმით აღებული და დახურული დამოუკიდებელი ტელეკომპანია, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება, პოლიტიკური ოპოზიციის „რუსეთის აგენტებად“ შერაცხვა, და მოგვიანებით მიხეილ სააკაშვილის მიერ პირველ ტურში მოპარული არჩევნები.

იხ. 2 გვ.



## გაიგებს სააკაშვილი ობამას ნათქვამს ისე, როგორც ჩვენ გვესმის? ⑤

## „Who is Who“ არჩევნების წინ ③

ერთი უზუსტობის გამო

## ძალაუფლების „კანონიერი“ და არა „ფორმალური“ გადაცემა!

საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვებ-გვერდი მიხეილ სააკაშვილისა და ბარაკ ობამას შეხვედრის შემდეგ აშშ-ის პრეზიდენტის მიერ გაკეთებულ განცხადებას ავრცელებს (იბეჭდება დღევანდელი ნომრის მე-3 გვერდში), რომელშიც ერთმა ფრაზამ ქართველი მკითხველის გაუგებრობა გამოიწვია:

„მინდა... გამოვთქვა იმედი, რომ გაიმართება სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნები, საქართველოში მალე ძალაუფლების ფორმალური გადაცემა მოხდება, რაც, ვფიქრობ, კიდევ უფრო განამტკიცებს უკვე განხორციელებულ რეფორმებს“.

ამ „ძალაუფლების ფორმალურმა გადაცემამ“ ოპოზიციის შოკი და ხელისუფლების აპოლოგეტი პოლიტიკოსების აღტაცება გამოიწვია. მაგალითად, აკაკი მინაშვილი და სხვები იმის დასტურად მიიჩნევენ, რომ ვაშინგტონი წინააღმდეგი არ არის, თუ ნაციონალები ხელისუფლებას მხოლოდ ფორმალურად გადასცემენ და რეალურად ძალაუფლებას შეინარჩუნებენ.

ჩვენ სპეციალისტებს ვთხოვეთ განემარტათ, თუ რას ნიშნავს ბატონ ობამას მიერ ნათქვამი „ფორმალური გადაცემა“. აღმოჩნდა, რომ ინგლისურ სიტყვა „ფორმალურს“ (Formal) რამდენიმე მნიშვნელობა აქვს, ცნობილი Webster-ის ლექსიკონის მიხედვით ის ნიშნავს: ძირითადს, ფორმალურს (ანუ გარეგნულს), სწორს, მართებულს, კანონიერს. ამრიგად, ვებსტერის შესაბამისად ბატონმა ობამამ უთუოდ „ხელისუფლების კანონიერი გადაცემა“ იგულისხმა და არა „ფორმალური გადაცემა“.

იმედს ვიტოვებთ, რომ აშშ საელჩო საქართველოში მეტ სიცხადეს შეიტანს პრეზიდენტ ობამას ნათქვამში.

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია

# ბიძინა ივანიშვილის ღია წერილი ბარაკ ობამას

(პირველი გვერდიდან)

ბოლო წვეთად იქცა უგუნური ჩართვა 2008 წლის აგვისტოს ომში, რომელიც იმით დასრულდა, რომ რუსეთმა საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია მოახდინა.

შედეგად, „ვარდების რევოლუციიდან“ რვა წლის შემდეგ, ჩემი ქვეყანა, სულ რაღაც რამდენიმე წარმატებით, კვლავ ერთპარტიული ავტორიტარიზმისა და რეალური დემოკრატიის გზაჯვარედინზეა. პოსტრევოლუციურ წლებში მიღწეული პროგრესი ეკონომიკური ლიბერალიზაციის, ადმინისტრაციული რეფორმის, ეფექტიანი სამთავრობო სტრუქტურების, წვრილმანი კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით გაფერმკრთალდა პლურალისტური პოლიტიკური სისტემისა და კანონის უზენაესობის დეფიციტით.

პირიქით, ჩვენ მივიღეთ სუპერცენტრალიზებული, ფაქტობრივად ნეობოლშევიკური მართვის სტილი, რომელმაც თავისი თავი დიდი ხნის წინათ ამოწურა, და ხელს უშლის არა მხოლოდ ქვეყნის განვითარებას, არამედ საკუთარ მიღწევებსაც საფრთხეს უქმნის.

საქართველოს მმართველი ელიტის პოლიტიკისადმი ჩემი დამოკიდებულების მიუხედავად, მე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი იმ ფაქტის მიმართ, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი ამ კვირაში თეთრ სახლშია მიწვეული.

ჩვენ ვიცით, რომ ამ ოფიციალურ ვიზიტს საში წელი დასჭირდა. ვიცით, რომ დემოკრატიული ინსტიტუტების და დამოუკიდებელი სასამართლოს არარსებობა, ადამიანის უფლებებისა და საკუთრების უფლებების დაუცველობა, თავდასხმები და მუდმივი კამპანია პოლიტიკური ოპოზიციის წინააღმდეგ, პოლიტიკური ზეწოლა მედიასა და ბიზნესზე, უმნიშვნელოვანეს საკითხებზე გადაწყვეტილების არაოფიციალურად და გაუმჭვირვალედ მიღების სტილი და ელიტური კორუფცია ჩვენს მდგომარეობას აზიანებს.

მაგრამ ჩვენ ვიცით ისიც, რომ საქართველო, რომლის წინაშეც უამრავი საფრთხეა, არ უნდა დაისაჯოს მისი მმართველი ელიტის შეცდომებისთვის და ეს არის ის, რასაც გულისხმობს ასევე ჩვენი სტრატეგიული პარტნიორობა. შესაბამისად, სწორედ მაშინ, როდესაც ოქტომბერში საპარლამენტო არჩევნებია დაგეგმილი, საქართველოს ყველა ჭეშმარიტმა მეგობარმა ინტენსიური დიალოგის გზით უნდა დაარწმუნოს პრეზიდენტი სააკაშვილი, უარი თქვას ხელისუფლებაში ნებისმიერ ფასად დარჩენის მცდელობისგან, რაც საქართველოსთვის შეიძლება ფატალური აღმოჩნდეს.

ჩვენ ვიცით, რომ ამერიკელების მხარდაჭერა საქართველოს და ქართველი ხალხის მიმართ არ ნიშნავს მხოლოდ კონკრეტული ლიდერის ან პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერას. ეს ნიშნავს იმას, რომ ქართველ ხალხს, ყველა სხვა ხალხის მსგავსად, აქვს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უფლება. მაგრამ საერთაშორისო დემოკრატიული თანამეგობრობის მხარდაჭერის გარეშე ეს ოცნება ვერ განხორციელდება. ის, რომ ეს ასეა, ჩვენ შარშან დეკემბერში გამოვცადეთ, როდესაც შეერთებული შტატების საელჩომ თბილისში გამოაქვეყნა განცხადება ქართული საარჩევნო სისტემის, პოლიტიკურ პარტიებზე კანონისა და კონკურენტული საარჩევნო გარემოს ხარვეზების შესახებ.

ჩვენთვის მოახლოებული საპარლამენტო არჩევნები საქართველოში გარდამტეხი მომენტია. ჩვენ გვჭირდება ანგარიშვალდებული მთავრობა, მთავრობა, რომელსაც როგორც გარე, ასევე შიდა ლეგიტიმაცია აქვს; პროგნოზირებადი და სანდო პარტნიორი ჩვენი დასავლელი მოკავშირეებისთვის. ჩვენ გვჭირდება უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, სამუშაო ადგილების შექმნა, უკიდურესი სიღატაკის დაძლევა, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში კონფლიქტების მოგვარება, და სამხრეთ კავკასიაში უსაფრთხოების ხარისხის გაზრდა.

სტრატეგიული პარტნიორობის ქარტია შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის, უმნიშვნელოვანესია საქართველოს დღევანდელი უსაფრთხოებისთვის და მომავალში ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის. ეს ჩემს ქვეყანას როგორც პოლიტიკური, ასევე მორალური თვალსაზრისით პასუხისმგებლობას აკისრებს, რათა იყოს ღირსი და შეძლოს ეს პარტნიორობა. ასეთი ღირსეული პარტნიორობის შედეგია ქართული დანაყოფების გაგზავნა ავღანეთში – აუცილებელი მსხვერპლი, რომელიც ჩემმა ქვეყანამ გაიღო გლობალური უსაფრთხოების ხელშეწყობისთვის; მეორე მხრივ, ასეთი პარტნიორობა უნდა გამორიცხავდეს პოლიტიკურ და სამხედრო შეცდომებს საქართველოს მთავრობის მხრიდან, რადგან ჩვენ ნატოში გაწევრიანებისკენ მივისწრაფვით.

საპარლამენტო არჩევნებში წარმატების შემთხვევაში, მე და ჩემი პოლიტიკური პარტნიორები ვიღებთ პასუხისმგებლობას, რომ სრულად განვახორციელებთ საქართველოს მიერ დეკლარირებულ საგარეო პოლიტიკურ კურსს და ჩამოვაყალიბებთ მრავალპარტიულ პოლიტიკურ სისტემას. ამიტომ, ჩვენ ვარწმუნებთ ამერიკის შეერთებული შტატების ლიდერებს და მთელ დემოკრატიულ თანამეგობრობას, ხელი შეუწყონ და წაახალისონ ქვეყნის სვლა ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ და იმავდროულად, გამოიყენონ ყველა შესაძლო რესურსი თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უზრუნველსაყოფად ჩვენი მოქალაქეებისთვის 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე.

ყველა ქართველი იმედოვნებს, რომ ეს ვიზიტი ხელშესახებ წარმატებას მოუტანს საქართველოს დემოკრატიული გარდაქმნის გზაზე. და ამით ჩვენი ოცნებაც ასრულდება.

**ბიძინა ივანიშვილი,**
საქართველო

**ბიძინა ივანიშვილი – ქართველი ბიზნესმენი და ფილანტროპი. საქველმოქმედო საქმიანობის გარდა, 2003-2008 წლებში დააფინანსა სხვადასხვა სამთავრობო პროექტი. როგორც კი შარშან ოქტომბერში განაცხადა, რომ პოლიტიკაში მონაწილეობას გეგმავს, პრეზიდენტმა სააკაშვილმა მას საქართველოს მოქალაქეობა ჩამოართვა. დღეს ბ-ნი ივანიშვილი საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეა, ის მოითხოვს მოქალაქეობის აღდგენას და პოლიტიკური კოალიციის ჩამოყალიბების პროცესშია, რათა მონაწილეობა მიიღოს 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში.**

The Washington Post
foreignpress.ge



## აშშ-მა ირანზე თავდასხმის დროს შეიძლება საქართველოს ტერიტორია გამოიყენოს

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი 30 იანვარს თეთრ სახლში მიიღო მისმა ამერიკელმა კოლეგამ ბარაკ ობამამ. ექსპერტების აზრით, მოლაპარაკების მთავარი თემა იყო საქართველოს მონაწილეობა ირანის წინააღმდეგ შესაძლო ოპერაციაში. ბატონი სააკაშვილი, როგორც ჩანს, მზად არის, მისცეს ამერიკის შეერთებულ შტატებს საქართველოს ტერიტორია თეირანთან კონფლიქტის შემთხვევაში და ეს განმარტოს იმის მისწრაფებით, რომ დაიცვას ქვეყანა „რუსეთის სამხედრო საფრთხისაგან“.**

ექსპერტები დარწმუნებული არიან, რომ სწორედ ირანი გახდა ვაშინგტონში მოლაპარაკების საკვანძო თემა, ვინაიდან ამერიკის შეერთებულ შტატებს იმედი აქვს, რომ ირანთან დაკავშირებული სიტუაციის ესკალაციის შემთხვევაში გამოიყენოს საქართველოს ტერიტორია როგორც ზურგის პლაცდარმი – შემთხვევითი როდია, რომ უკანასკნელ წლებში ვაშინგტონი გამოყოფს მნიშვნელოვან თანხებს ვაზიანსა და მარნეულში სამხედრო აეროდრომების, აგრეთვე ბათუმის ნავსადგურის რეკონსტრუქციისთვის.

უკანასკნელ წლებში თბილისი თანმიმდევრულად ავლენს ვაშინგტონისადმი ერთგულებას, 2012 წელს ქართული სამხედრო კონტინენტი ავღანეთში შეივსება კიდევ ერთი ბატალიონით და მიაღწევს 1600-1700 ჯარისკაცსა და ოფიცერს. **„არ გამოვრიცხავ, იმისთვის, რომ კვლავ შერჩეს ხელისუფლებაში, სააკაშვილი შეძვრება სამხედრო კომპანიაში ირანის წინააღმდეგ. ეს შეიძლება გახდეს ნამდვილი კატასტროფა ჩვენი ქვეყნისთვის. ომი ირანის წინააღმდეგ არ უნდა წარმოებდეს ჩვენი ტერიტორიიდან“,** – განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ.

BBC

## რამაზ საყვარელიძე: ობამა ცდილობს, არ გააკეთოს რუსეთის გამაღიზიანებელი განცხადებები

**გადატვირთვის პოლიტიკის ინიციატორი ბარაკ ობამა ცდილობს, არ გააკეთოს რუსეთის გამაღიზიანებელი განცხადებები. ამის შესახებ პოლიტოლოგმა რამაზ საყვარელიძემ განაცხადა.**

– ჩვენ არ ვიცით, შეეხნენ თუ არა ამ საკითხებს ამერიკისა და საქართველოს პრეზიდენტები დახურულ კარს მიღმა. ის რომ საჯარო განცხადებებში არ ყოფილა ამ საკითებზე საუბარი ამის გაგება შეიძლება თუნდაც იმის საფუძველზე, რასაც ობამას მიმართულებით ექსპერტები ხშირად აღნიშნავენ – გადატვირთვის პოლიტიკის ინიციატორი ობამა ცდილობს, არ გააკეთოს განცხადებები, რომელიც გააღიზიანებს რუსეთს. რუსული მოტივით ხსნიდნენ იმასაც, რომ ყურადღების მიღმა იყო დატოვებული ქართული თემა ობამას მხრიდან. ობამამ სააკაშვილთან ვიზიტი დაუშვა და შემდეგ კიდევ რუსულ თემაზე აპელირებას არ მოახდენდა. ვიზიტის დაჩქარება, ვფიქრობ, ობამას ინტერესებში შედიოდა შიდა პოლიტიკური თვალსაზრისით და ასევე ამერიკელი ექსპერტების საპასუხოდ, რომლებიც ამბობდნენ რომ ამერიკამ საქართველო დაივიწყა, – განაცხადა საყვარელიძემ.

მისი თქმით, სააკაშვილთან შეხვედრის დასრულების შემდეგ ობამას განცხადებები იყო იმის დასტური, რომ ამ შეხვედრაზე მოხდა ამერიკა-საქართველოს ურთიერთობის კურსის შეცვლა.

## ◉ პარტიებსა და მოძრაობებში

# ერთიანი ოპოზიციის ლიდერობას სთხოვენ

**ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, ჯაბა ჯიშკარიანის ხელმძღვანელობით, საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ ოფისში ოპოზიციური სპექტრის გაერთიანებასთან დაკავშირებით მიმართვა მიიტანეს.**

ჯაბა ჯიშკარიანმა განაცხადა: „ახალგაზრდულმა ორგანიზაციებმა დავიწყეთ კამპანია – ყველა პარტიას ვთხოვთ ერთიანობის პოზიციასთან დაკავშირებით საკუთარი აზრი გამოხატონ. დღეს კი, ბატონ ბიძინა ივანიშვილს მივმართავთ: გვსურს, ბიძინა ივანიშვილი იყოს საერთო-სახალხო, საყოველთაო ხელმძღვანელი და არა ერთი ან ორი პოლიტიკური სეგმენტის ლიდერი. გასაგებია, გვერდით მყოფი ადამიანები მას ურჩევენ შეინარჩუნოს უფრო მეტი პრივატულობა, მაგრამ ეს საერთო გამარჯვებას არ მოგვიტანს და საბოლოოდ წამგებიანია ერთიანი საქმისთვის“.



ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ერთხმად გამოხატეს მზადყოფნა და სურვილი, რომ ბიძინა ივანიშვილი ჩაუდგეს სათავეში ოპოზიციურ სპექტრს და გახდეს მთელი ოპოზიციის ლიდერი. მათ სწამთ, რომ ბიძინა ივანიშვილი თავისი პიროვნული თვისებებით, ავტორიტეტით, შესაძლებლობებით და რესურსებით შეძლებს საერთო-სახალხო გამარჯვების მოპოვებას.

**ლია გრიგოლია**

## ნათელაშვილს ობამას მიერ სააკაშვილის მიღება საქართველოს შეურაცხყოფად მიაჩნია

**ლეიბორისტებს ბარაკ ობამას მიერ მიხეილ სააკაშვილის თეთრ სახლში მიღება საქართველოს შეურაცხყოფად მიაჩნიათ.**

როგორც პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ობამასგან საქართველოში გატარებული პოლიტიკური რეფორმებისადმი მიძღვნილი ქება-დიდება საქართველოსა და ქართველი ხალხისთვის უაღრესად დიდი შეურაცხყოფაა. ნათელაშვილის აზრით, ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველოს ბედი ვაშინგტონში წყდება.

– ამით დასტურდება, რომ ჩვენ ვართ არა მხოლოდ კოლონია, არამედ ამერიკის კოლექტიური მონები. შეხვედრაზე ამერიკის პრეზიდენტისგან გაჟღერებული ხელისუფლების ფორმალური გადაბარების იდეა ნიშნავს, სააკაშვილისა და მისივე მართული ანტიეროვნული, პროამერიკული მარიონეტი ძალების დატოვებას ძალაუფლებაში, რა თქმა უნდა, არჩევნების ტოტალური, სანქცირებული გაყალბებით, – განაცხადა ნათელაშვილმა.

მისივე თქმით, თავისუფალ ვაჭრობაზე დაპირება ამერიკულ ბაზარზე გაიყვანს მხოლოდ სააკაშვილის საოჯახო მილიონერთა კლანებს და არა უბრალო ხალხს, რომელთაც უვიზო მიმოსვლა და ქართული დიპლომების ამერიკულთან გათანაბრება სჭირდებათ.

– ამერიკის სამხედრო სტატუსისა და ნატოსკენ სწრაფვის ყბადაღებულ იდეათა დაკანონება, პირდაპირი გზაა საქართველოს გეოპოლიტიკურ ხორცსაკეპად გადაქცევისა და აფხაზეთ-ცხინვალის სამუდამოდ დაუბრუნებლობისთვის. ეს ტერიტორიები, როგორც ოკუპირებული, ამერიკის პრეზიდენტს არც კი უხსენებია, – აღნიშნა შალვა ნათელაშვილმა.

**ХО-ЭОВ-ЭНО**

განსჯა

# გაიგებს სააკაშვილი ობამას ნათქვამს ისე, როგორც ჩვენ გვესმის?

**არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ თეთრი სახლის ოვალურ დარბაზში ორი პრეზიდენტის შეხვედრა იმის მიმანიშნებელია, რომ ბრძოლა კავკასიისთვის შედის ახალ ფაზაში, რომლის დროს ოფიციალური ვაშინგტონი შეეცდება აქ მოპოვებული თავისი ხანგრძლივი ყოფნის ფუნდამენტის კიდევ უფრო განმტკიცებას.** არ მართლდება ზოგიერთთა ვარაუდი, რომ მალე აშშ-ი კავკასიას, უხეშად, რომ ვთქვათ რუსეთს გადააბარებს, ხოლო თვითონ რეგიონის მეორეხარისხოვანი მოთამაშის როლს დასჯერდება. აღნიშნულ ვარაუდს აქვს რაღაც საფუძველი, მით უმეტეს თუ თვალს გადავავლებთ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდს. აშშ იძულებული იყო, გამოსულიყო ვიეტნამიდან, ვერაფერს გახდა ჩრდილოეთ კორეასთან, არ გაუმართლა სომალიში, თმობს პოზიციებს ავღანეთში და სურს შეურცხვენლად მაინც დატოვოს ეს ქვეყანა, გავიდა ერაყიდან საკმაო მსხვერპლის და დიდი ფინანსური დანაკარგის შემდეგ. ძნელია იმის თქმა, შეასრულა თუ არა აშშ-მა ერაყის მიმართ ჩაფიქრებული გეგმა.

აშშ-ის პოზიციების განმტკიცების საწინდარია საქართველოსთან სამხედრო თანამშრომლობის გაფართოება. **„ჩვენ ვილაპარაკეთ იმაზე, თუ როგორ უნდა გავაგრძელოთ სამხედრო თანამშრომლობის განმტკიცებისთვის ძალისხმევა. ამ ფართო ასპარეზზე ჩვენ ერთად ვმუშაობთ. მე დავპირდი სააკაშვილს, რომ აშშ გააგრძელებს ნატოში გაწევრებისთვის საქართველოსთვის მხარის დაჭერას“,** — განაცხადა ობამამ. სამხედრო თანამშრომლობისთვის ხაზის გასმა იმის მიმანიშნებელია, რომ საქართველო სავარაუდოდ მიიღებს იმ თავდაცვითი შეიარაღების სისტემას, რასაც ის რახანია სთხოვს აშშ-ს. თავდაცვის საკითხებში თანამშრომლობა ფართო ცნებაა და თავისუფლად შეიძლება მოიცვას ის საკითხებიც, რომლებიც ირანს ეხება. თუ იარაღის მოწოდება მოხდა, ერთობ დაიძაბება მოსკოვ-ვაშინგტონის ურთიერთობა. ორი ქვეყნის ურთიერთობის გაუმჯობესების, ე. წ. „გადატვირთვის“ პროცესი, როგორც სპეციალისტები მიიჩნევენ, შეფერხებულია და სრულიად შესაძლებელია, იგი ამერიკა-საქართველოს ახალმა სამხედრო თანამშრომლობამ მთლად შეაჩეროს. თუმცა რუსეთში აშშ-ის ახალი ელჩის მაკფოლის მიხედვით, „გადატვირთვა“ აო შეჩერდება. მას არც პუტინის გაპრეზიდენტება შეუშლის ხელს, ვინაიდან „გადატვირთვის“ მიმდინარეობისას პუტინი პრემიერ-მინისტრი იყო და ამდენად, ძნელია იმის წარმოდგენა, რომ ის ირიბად მაინც არ ყოფილიყო ამ საქმეში ჩართული.

სამხედრო სფეროში თანამშრომლობა ორივე პრეზიდენტისთვის სასურველია. ობამასთვის — აშშ-ის პოზიციების განმტკიცებისთვის, რეგიონის საჭირო კონტროლისთვის, ხოლო სააკაშვილისთვის — პირადი პოზიციების და, რაც მთავარია, აშშ-ს პრეზიდენტის თვალში ნდობის მოპოვებისთვის. თეთრ სახლში მასპინძლობით ობამამ ბურთი ჩაჩარა რესპუბლიკელებს, რომლებიც სამი წელია გამუდმებით აკრიტიკებენ დემოკრატ პრეზიდენტს სტრატეგიული პარტნიორის საქართველოს მიმართ უყურადღებობისთვის.

ვაშინგტონის შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ აშშ-სთვის მთავარია, საქართველო იყოს მონურად მორჩილი, მისი ინტერესების უყოყმანოდ გამტარებელი. ასეთ დროს სულაც არ არის ძნელი დესპოტის დემოკრატად წარმოსახვა, არადემოკრატის დემოკრატიის მისაბაძ ქვეყნად გამოცხადება. **„მე მინდა ვუთხრა პრეზიდენტს, რომ ჩვენ ვაფასებთ დემოკრატიისა და გამჭვირვალობის იმ მოდელს, რომელიც არა მარტო საკუთარი ქვეყნისთვის შექმნეს, არამედ მთლიანად რეგიონისთვის“,** — განაცხადა ობამამ და ამ განცხადებით მანაც, ისე როგორც მისმა წინამორბედმა, ცივი წყალი გადაასხა ქართველ ხალხს, ზოგიერთ ოპოზიციონერს, რომელიც დაბეჯითებით გაიძახის საწინააღმდეგოს, საქართველოში არსებული ვითარების დემოკრატიულად, თანაც მისაბაძად აღქმა აშკარა დადასტურებაა იმისა, რომ რესპუბლიკელებისა და ბუშის მიერ წამოწყებული „პროექტი სააკაშვილი“ დემოკრატ ობამას დროსაც გრძელდება, რამეთუ „დემოკრატიის შუქურობა“ ისეთია, რამაც რეგიონის სხვა ქვეყნებშიც უნდა ჰპოვოს დაინტერესება. ტყუილად არ უთქვამს სააკაშვილს — დღეს რუსეთში გამოსული მომიტინგეები საქართველოს მსგავსის შექმნას მოითხოვენო.



ობამამ, „მაღალი შეფასებით“, სააკაშვილსა და მის ხელისუფლებას ერთი მოსმით ჩამოსწმინდა უამრავი შავი ლაქა, მათ შორის გასული წლის მაისი, რაც ასე უხვად იყო სააკაშვილის მმართველობის დროს. ამ განცხადებით აშშ-ს პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ მისი ქვეყნის ინტერესები უფრო პრიორიტეტულია, ვიდრე სხვა ქვეყნის დემოკრატიაზე ზრუნვა. სხვა, რაც ბრძანა პრეზიდენტმა ობამამ, განსაკუთრებით ორი ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობებთან დაკავშირებით — უფრო სურვილია, ვიდრე რეალობა, ვინაიდან თითო-ოროლა რაღაცის გარდა საქართველო ვერაფერს გაყიდის ამერიკაში და იმასაც თუ გაყიდის, ძნელი დასაჯერებელია.

აშშ-ს სრულიად თავისუფლად შეუძლია ჩათვალოს, რომ საქართველო მისი მოკავშირეა, რომ ამერიკამ, თითზე ჩამოსათვლელ წლებში მოახერხა ის, რისი მოხერხებაც ათეული წლის განმავლობაში ვერაფრით შეძლო სხვასთან. საქართველო ერთობ ბეჯითი მოსწავლე გამოდგა როგორც პოლიტიკოსთა ისე საზოგადოების მორჩილების თვალსაზრისით. აშშ-მა საქართველოში შექმნა ამერიკული ხელისუფლება და ამერიკული ოპოზიცია და არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ხელისუფლებაზე მეტი ამერიკული ოპოზიცია. ვაშინგტონს მშვიდად შეუძლია ძილი — ორივე მისია, მის მიერ გაზრდილია, მისი მორჩილი და რეგიონში მისი ინტერესების გამტარებელი. ასე რომ, მას შეუძლია დამშვიდებით თქვას, — მიესალმება სამართლიან და თავისუფალ არჩევნებს, ხელისუფლების გადაცემას, რაც ჩატარებული რეფორმების დამაგვირგვინებელი იქნება. ობამას მიერ ნათქვამი სიტყვები რაღაცის მიმანიშნებელია, მაგრამ გაიგებს ამას სააკაშვილი და მისი გუნდი ისე, როგორც ჩვენ გვესმის? ძნელი სათქმელია.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი**

გზავნილი ვაშინგტონიდან

# განვიხილეთ ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავების გზები

საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვებ-გვერდი მიხეილ სააკაშვილისა და ბარაკ ობამას შეხვედრის შემდეგ აშშ-ის პრეზიდენტის მიერ გაკეთებულ განცხადებას ავრცელებს, რომელსაც „ინტერპრესნიუსი“ უცვლელად გთავაზობთ:

**— მინდა მივესალმო პრეზიდენტ სააკაშვილს და მის დელეგაციას. ძალიან კარგია, რომ აქ ჩამობრძანდით. წელს საქართველოს დამოუკიდებლობის 20 წლის იუბილეს და ვარდების რევოლუციის 8 წლისთავს აღვნიშნავთ.**

**ვფიქრობ, საქართველომ მართლაც უნდა იამაყოს იმ პროგრესით, რომელსაც მან მიაღწია, როგორც თავისუფალმა, სუვერენულმა და დემოკრატიულმა ქვეყანამ. ერთ-ერთი პირველი, რაც მე გავაკეთე, გამოვხატე ჩემი პატივისცემა იმ ინსტიტუციების მიმართ, რომლებიც საქართველოში აშენდა - უმცირესობებისადმი პატივისცემის, პოლიციის რეფორმის, კანონის უზენაესობის თვალსაზრისით. რა ინსტიტუციებიც ახლა შენდება, ძალიან დიდ გავლენას მოახდენს არა მარტო ახლანდელ თაობაზე საქართველოში, არამედ მომავალ თაობებზეც.**

**მინდა, კიდევ ერთხელ გამოვხატო ჩემი პატივისცემა თქვენს მიერ უკვე შესრულებული სამუშაოს მიმართ და გამოვთქვა იმედი, რომ გაიმართება სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნები. საქართველოში მალე ძალაუფლების ფორმალური გადაცემა მოხდება, რაც, ვფიქრობ, კიდევ უფრო განამტკიცებს უკვე განხორციელებულ რეფორმებს.**

**ჩვენ განვიხილეთ ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავების გზები. ყოველივე ამის შემადგენელი ნაწილი, რა თქმა უნდა, არის ეკონომიკა. საქართველომ, უდავოდ, ძალიან დიდი ნაბიჯები გადადგა ეფექტიანი, თავისუფალი ბაზრის შექმნაში და, რა თქმა უნდა, პროგრესი კვლავაც უნდა გაგრძელდეს. პროგრესის მიღწევაში კი საქართველოს ამერიკის შეერთებული შტატები დაეხმარება.**

**ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც ჩვენ ვაკეთებთ ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციისა და „ოპიკის“ კრედიტების გარდა, არის ის, რომ შევთანხმდით მაღალი დონის დიალოგზე ჩვენს ორ ქვეყანას შორის. ჩვენ უნდა განვიხილოთ სამოქმედო გზები, თუ როგორ გავაღრმავოთ სავაჭრო ურთიერთობა, მათ შორის, განვიხილეთ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობა.**

**რა თქმა უნდა, ამ მიმართულებით ბევრი რამ უნდა გაკეთდეს და ბევრ სხვადასხვა შესაძლებლობას განვიხილავთ ამ მიმართულებით. მთავარია, რომ ეს მომგებიანი და ურთიერთსასარგებლოა ორივე ქვეყნისთვის — როგორც საქართველოსთვის, ისე ამერიკის შეერთებული შტატებისთვის.**

**ჩვენ უნდა ვიპოვოთ ახალი შესაძლებლობები ბიზნესისთვის, რომ საქართველოში განხორციელდეს ინვესტიციები. ჩვენი პროდუქცია უნდა გაიყიდოს საქართველოში და ქართული პროდუქცია უნდა შემოვიდეს ჩვენს ბაზარზე.**

**რაც შეეხება უსაფრთხოებას და თავდაცვას, მე მადლიერება გამოვხატე თქვენი პრეზიდენტის მიმართ იმ უდიდესი წვლილისთვის, რომელიც ქართველმა სამხედროებმა ავღანეთის სამშვიდობო მისიაში შეიტანეს.**

**ISAF-ის პროგრამის მონაწილე ნატოს არაწევრ ქვეყნებს შორის საქართველოს სამხედრო ძალებს ერთ-ერთი ყველაზე დიდი წვლილი შეაქვს ამ ოპერაციაში და მათ, რა თქმა უნდა, სერიოზული დანაკლისიც განიცადეს.**

**ჩვენ ვისაუბრეთ, როგორ შეიძლება გავაძლიეროთ თანამშრომლობა თავდაცვის სფეროში ჩვენს ქვეყნებს შორის. ჩვენი თანამშრომლობა თავდაცვის სფეროში საკითხების ფართო სპექტრს მოიცავს. მე კიდევ ერთხელ დავუდასტურე პრეზიდენტ სააკაშვილს ის, რომ შეერთებული შტატები კვლავაც მხარს უჭერს საქართველოს მისწრაფებას, გახდეს ნატოს წევრი.**

**დაბოლოს, მინდა ვუთხრა პრეზიდენტს! ჩვენ ვაფასებთ იმას, რომ საქართველომ აირჩია დემოკრატიის, გამჭვირვალეობის გზა, არა მარტო საკუთარი თავისთვის, მისი არჩევანი მთელი რეგიონისთვის იქცა მაგალითად. თუ საქართველო შემდგომ წლებშიც გააგრძელებს ასეთ პროგრესს, სულ უფრო მეტი ქვეყანა გააცნობიერებს, რომ თუ საქართველომ შეძლო ასეთი ტრანსფორმაცია, ისინიც შეძლებენ, იგივე გაიმეორონ.**

**საქართველო პასუხისმგებლობით ასრულებს თავის როლს მსოფლიო არენაზე და მრავალმხრივ საერთაშორისო ფორმატებში.**

**პრეზიდენტის ლიდერობით საქართველომ უდიდესი ნაბიჯები გადადგა და, ვიმედოვნებთ, რომ მომავალში შესაძლებლობას მოვძებნით და კიდევ უფრო განვამტკიცებთ ისედაც მყარ ურთიერთობას ჩვენს ქვეყნებს შორის,** — განაცხადა ბარაკ ობამამ.

## ხელისუფლება მხოლოდ დემოკრატიული გზით იქნება არჩეული

**ხელისუფლება მხოლოდ დემოკრატიული და თავისუფალი გზით იქნება არჩეული, — ამის შესახებ პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ გუშინდელ ტრადიციულ ბრიფინგზე განაცხადა.**

**მანანა მანჯგალაძის თქმით, აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ და საქართველოს პირველმა პირმა მიხეილ სააკაშვილმა შეხვედრაზე ისაუბრეს დემოკრატიულ რეფორმებზე და მათ შორის მომავალ არჩევნებზე. მანჯგალაძის განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ გააგრძელებს დემოკრატიული რეფორმების გზით სვლას.**

**— ნებისმიერი ხელისუფლება არჩეული იქნება დემოკრატიული არჩევნების გზით, ამასთან, საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ საქართველო გადადის პრინციპულად ახალ მოდელზე, სადაც პარლამენტს გაცილებით დიდი როლი ექნება და ამ თვალსაზრისითაც, მომავალი საპარლამენტო არჩევნები ძალზე მნიშვნელოვანი და საინტერესო იქნება, — განაცხადა მანანა მანჯგალაძემ.**

ინტერპრესი

სადისკუსიოდ

# „Who is Who“ არჩევნების წინ



**არჩევნების მოახლოებასთან ერთად, საზოგადოებაში პოლიტიკური თვითგამორკვევის პროცესი დაიწყო, რომელიც არაერთი თვალსაზრისით არის საინტერესო და საგულისხმო. განსაკუთრებით იმით, თუ რა შინაგანი ძიება, ვნებათა ღელვა, საკუთარ ინტუიციაზე მიყურადება, ღირებულებების გადაფასება თუ მათში კიდევ უფრო მეტად დარწმუნება მიმდინარეობს საარჩევნო ლუზის ჩაშვების წინ.**

მომავალ არჩევნებში თითოეულ ამომრჩეველს მოუწევს ჩაუშვას თავისი ლუზა ამა თუ იმ პოლიტიკური ძალისადმი მხარდაჭერის დადასტურებით ან არდადასტურებით, თავისი აქტივობითა თუ ინაქტივობით, პოლიტიკურ პროცესში ჩართულობითა თუ კვლავ განზე დგომით. თითოეულ მათგანზეა დამოკიდებული, სად, რომელ ნავსადგურში აღმოჩნდება ჩვენი გემი და, ამჯერად მაინც აღმოჩნდება თუ არა იქ, საიდანაც ბოლოსდაბოლოს გამოჩნდება ჩვენი გადარჩენის ზეთისხილის რტო. დიახ, ქვეყნის ბედს წყვეტს არა მარტო ის ამომრჩეველი, ვინც ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის სასარგებლო არჩევანს აკეთებს, არამედ ისიც, ვინც ვერ ან არ აკეთებს ასეთ არჩევანს. თავისთავად, „განზე დგომაც“ პოლიტიკური არჩევანია, ოღონდ ყველაზე ცუდი არჩევანი, პასუხისმგებლობისაგან დაცლილი, რამდენადაც, ნებსით თუ უნებლიედ, და ვფიქრობ, უფრო მეტად ნებსით, გემს გზააბნეული ტალღებისაკენ უბიძგებს, ზღვათა მიქცევა-მოქცევაზე, ყოველი მხრიდან მონაბერი გამჭოლი ქარების სტიქიურ ენერგიაზე ხდის დამოკიდებულს; ამით კი მეტისმეტად ართულებს სასურველ ნავსადგურამდე მიღწევისა და, მასთან ერთად, იქნებ სულიერი ნავსაყუდელის მიგნების შესაძლებლობასაც.

თუ სად ჩავუშვებთ ლუზას არჩევნების დროს, ან ჩავუშვებთ თუ არა საერთოდ, ეს პოლიტიკურ პარტიებზეა დამოკიდებული. არჩევნების ბედს, საბოლოო ჯამში, სწორედ ის ადამიანები გადაწყვეტენ, ვისაც აქამდე „არჩევნებისაგან განზე დგომის“ პოზიცია ეკავა – მივლენ თუ არა არჩევნებზე და ვის გამოუცხადებენ ნდობას. შესაბამისად, იმ პოლიტიკურ ძალას ექნება წარმატება, ვინც ადამიანთა ამ კატეგორიას პოლიტიკურ პროცესში ჩართულობის მოტივაციას შეუქმნის. ეს ნაწილობრივ უკვე მოახერხა ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა არა მარტო პოლიტიკურ სარბიელზე შემოსვლით, არამედ იმ პოლიტიკური მესიჯებით, რომლებიც თავიდანვე აუწყა საზოგადოებას.

„არჩევნებისაგან აქამდე განზე მდგომთა“ შორის ადამიანთა ორი კატეგორია უნდა გამოვყოთ: პირველ კატეგორიას ისინი მიეკუთვნებიან, ვინც მართალია, საერთოდ პოლიტიკურად აქტიურია, მაგრამ ვერ აკეთებდა არჩევანს იმის გამო, რომ **ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიასთან თავისი თავის იდენტიფიკაციას ვერ ახდენდა**. ძირითადად, ესაა ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილი ამომრჩეველი, რომელსაც მიზეზთა გამო (ზოგჯერ მაღალი პოლიტიკური გემოვნების გამოც), მიაჩნდა, ან დღესაც მიაჩნია, რომ დღევანდელი ოპოზიციური სპექტრიდან, ცალკე აღებული, ვერც ერთი პარტია თუ პოლიტიკური ძალა ვერ აკმაყოფილებს საჭირო მოთხოვნებს. სწორედ ამის გამო ვერ ახდენდა იგი **პარტიულ თვითიდენტიფიკაციას**. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ერთ რომელიმე კონკრეტულ პარტიასთან თვითიდენტიფიკაციიის პრობლემა, მეტად თუ ნაკლებად, მთელ საზოგადოებაში არსებობდა. ამიტომაც იყო აქამდე საზოგადოებაში განუწყვეტელი მოთხოვნა ოპოზიციის გაერთიანების შესახებ, რათა მას შესძლებოდა, რომ ასეთი თვითიდენტიფიკაცია მოეხდინა არა რომელიმე ერთ პოლიტიკურ პარტიასთან, არამედ საზოგადოდ ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალებთან მიმართებაში, რომელიც იქნებოდა ერთგვარი კრებსითი სახე ყველა იმ ღირსებისა, რომელიც გარტიანებაში შემავალ პოლიტიკურ პარტიებს გააჩნდათ ერთობლივად.. **ფაქტობრივად, ოპოზიციის გაერთიანების მოთხოვნა იყო გამოხატულება პოლიტიკური თვითიდენტიფიკაციის სურვილისა**. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ თუ აქამდეც იარსებებდა გამოკვეთილად, ყველა განზომილებით ძლიერი ოპოზიციური პოლიტიკური პარტია, ოპოზიციის გაერთიანების მოთხოვნა საზოგადოებაში არ გაჩნდებოდა.

სხვათა შორის, პარტიული თვითიდენტიფიკაციის პრობლემა მარტო საქართველოში არ არსებობს. ეს ყველგანაა, თუმცა, ამ პრობლემის მიზეზებია სხვადასხვაგვარი. მაგალითად, ამერიკელები (აშშ-ს ვგულისხმობ) ჩივიან, რესპუბლიკელებსა და დემოკრატებს შორის იოტისოდენა განსხვავებაც არ არის. ჩვენ დემოკრატები ვართ და არა რომელიმე ერთი კონკრეტული პარტიის ერთგულებიო. ამის გათვალისწინებით, გასაკვირი არ არის, რომ საქართველოში ამგვარი პრობლემის არსებობას კიდევ უფრო მეტი საფუძველი აქვს. ჩვენში ხომ გაცილებით მეტი პოლიტიკური პარტიაა ერთგვაროვანი პოლიტიკური პლატფორმებით, გაცხადებული ღირებულებებით, პოლიტიკური ორიენტაციებითა თუ დემოკრატიულობის დაჩემებით. ამ თვალსაზრისით ოპოზიციურ ძალებსა და მმართველ პოლიტიკურ ძალას შორისაც არ არის დიდი განსხვავება. ამის გამო, საზოგადოება იძულებულია არა გაცხადებული ღირებულებების მიხედვით, არამედ ამ ღირებულებებისადმი პოლიტიკური ძალების ერთგულების, მათი საქმეების მიხედვით გაარჩიოს ისინი, დაინახოს განსხვავება და მოახდინოს თავისი პარტიული თვითიდენტიფიკაცია. ეს კი იოლი საქმე არ არის იმ პროპაგანდისტული იერიშის გათვალისწინებით, რასაც ხელისუფლება ახორციელებს ამომრჩეველთა ტვინების გამოსარეცხად, მით უფრო, ისეთი მცირე სასუნთქი სივრცის პირობებში, რაც თავისუფალი მასმედიისათვის არის დატოვებული. სწორედ **ამიტომაც არის ესოდენ მნიშვნელოვანი, დროულად განხორციელდეს არჩევნებისაგან აქამდე განზე მდგომთა, ოპოზიციურად განწყობილი საზოგადოების პარტიული თვითიდეტიფიკაცია და მისი აქტიურ ოპოზიციურ ელექტორატად ქცევა საერთო წარმატების მისაღწევად.**

სწორედ ამ პოლიტიკურ კონტექსტში ვხედავ ბ-ნი ბიძინა ივანიშვილის განცხადებას იმის შესახებ, „შუა რომ უნდა გაიკრიფოს“, რასაც სხვადასხვაგვარი შეფასება მოჰყვა. **ეს საზოგადოების პოლარიზაციისაკენ მოწოდება კი არ არის, ანდა იმ შეხედულების გამომხატველი, რომ განსხვავებული და, მით უფრო ცენტრისტული პოზიციის გამომხატველი პოლიტიკური პარტიები არ უნდა არსებობდეს, არამედ იმისა, რომ ოპოზიციურად განწყობილმა ელექტორატმა ბოლოსდაბოლოს თავისი პარტიული თვითიდენტიფიკაცია მოახდინოს, განზე დგომის პოზიციიდან აქტიურ პოზიციაზე გადავიდეს და თავისი საარჩევნო ხმით ის პოლიტიკური ძალა გააძლიეროს, რომელსაც უკვე დიდი პოტენცია გააჩნია ხელისუფლების შეცვლის მისაღწევად**. დიდი სიბრიყვე და გამოუსწორებელი შეცდომა იქნება, რომ ოპოზიციურმა ელექტორატმა, თავისი გაუთავებელი წუწუნითა და „პერფექციონისტური“ თავმომწონეობით კვლავ განზე დგომა არჩიოს, როდესაც დანამდვილებით იცის, რომ მისი არარეალიზებული საარჩევნო ხმა უეჭველად იქნება არჩევნების გასაყალბებლად გამოყენებული. მესამე ან მეტი პოლიტიკური ცენტრის შექმნა კი დღეს არარეალურიც არის და არასასურველიც. ნამდვილად არ ვისურვებდი, კავკასიური ცარცის წრეში ჩაყენებული ჩვენი სამშობლო თანაბრად ძლიერი სამი, ოთხი ან კიდევ უფრო მეტი პოლიტიკური ძალის ქანცისგამწყვეტი მორალური ზემოქმედების ქვეშ აღმოჩნდეს და ელექტორატს არჩევანი გაურთულოს. **გონივრული ის იქნებოდა, ისედაც ძლიერი ახლადშექმნილი ოპოზიციური კოალიცია კიდევ უფრო რომ გაგვეძლიერებინა, რათა რაც შეიძლება ადვილად, მშვიდობიანად და უმტკივნეულოდ გაგვეშვებინებინა პოლიტიკურ წრეში ჩაყენებული ჩვენი სამშობლოსათვის ნაცმოძრაობის ძლიერად ჩაბღაუჭებული ხელი და სახელისუფლო სადავეები. აი, ამიტომ უნდა „გაიკრიფოს შუა“ და გადაინაცვლოს იქით, საიდანაც სამშობლოს გათავისუფლების რეალური პერსპექტივები უკვე ნათლად მოჩანს.**

ბიძინა ივანიშვილის მხოლოდ ეს განცხადებაც კი საკმარისია, რომ მასში გონიერება და პოლიტიკური ალღო დავინახოთ. პოლიტიკურ სარბიელზე მისი მხოლოდ გამოჩენაც კი, ხელშემწყობი ფაქტორი გახდა პარტიული და, შესაბამისად, საარჩევნო თვითიდენტიფიკაციისა ოპოზიციურ ელექტორატს შორის.

თავისი პირველი პოლიტიკური ნაბიჯებით, მათ შორის პოლიტიკურ პარტნიორთა შერჩევით, ფართო ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრისა თუ საზოგადოების ცალკეული წარმომადგენლებისათვის სხვადასხვა დონეზე თანამშრომლობისათვის ღია კარის დატოვებით, განსხვავებული აზრისადმი შემწყნარებლობითა და ასეთი აზრის მქონე ადამიანებში მტრის არდანახვით, მან უკვე სერიოზული საფუძველი შექმნა ერის კონსოლიდაციისათვის. მან შესანიშნავად გაიარა ბეწვის ხიდზე: **ერთი მხრივ,** პოლიტიკურ პარტნიორებად შეარჩია კომპეტენტური, ზომიერი და პროდასავლური პოლიტიკურ ძალები. **მეორე მხრივ,** ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, თუ ვისთან არ ითანამშრომლებდა. ყალბი ერთიანობის მისაღწევად მას არ დაუხუჭავს თვალი იმ პოლიტიკურ პარტიათა ქმედებებზე, რომლებმაც გაუმართლებელი კომპრომისი დაუშვეს ხელისუფლებასთან, რადგან იცის, რომ ბრძოლაში მხოლოდ საიმედო პარტნიორები უნდა შეარჩიო. **მესამე მხრივ,** გამოაცხადა ტოლერანტული დამოკიდებულება სხვა პოლიტიკურ პარტიებთან, დაამყარა მათთან სხვადასხვა დონის თანამშრომლობა და არც იმ ოპოზიციურ პარტიებთან გადაკეტა საბოლოოდ სხვადასხვა რანგისა თუ შინაარსის თანამშრომლობის სამომავლო გზები, რომლებთანაც წინასაარჩევნო პერიოდში მჭიდრო კავშირი მის პოლიტიკურ ძალასთან ფართო საზოგადოების პოლიტიკურ თვითიდენტიფიკაციას შეასუსტებდა.

იხ. 6 გვ.

## ინფორმაცია

### საქართველო-აშშ-ს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით შესაბამისმა უწყებებმა დავალებები მიიღეს

**ამის შესახებ ჟურნალისტებს მთავრობის გუშინდელი სხდომის დაწყებამდე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ჯალაღანიამ განუცხადა.**

**„მნიშვნელოვანი და ძალზედ აქტუალურია საქართველო-აშშ-ს შორის თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის პერსპექტივა, რომელიც ფაქტობრივად უკვე შეთანხმდა და კონკრეტული უწყებების მიმართ დავალებებიც გაიცა, რათა მაღალ დონეზე, შესაბამისი ფორმატის ფარგლებში მოხდეს აღნიშნულ საკითხზე მოლაპარაკებების, მსჯელობის დაწყება“, – განაცხადა ჯალაღანიამ.**

**„გუშინდელ შეხვედრაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები და შეთანხმებები იქნა მიღწეული. გამოვყოფდი უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში შემდგომი თანამშრომლობის გაღრმავებას, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაზრდის კუთხით. ასევე, კიდევ ერთხელ უდიდეს დონეზე იქნა დადასტურებული საქართველოს მხარდაჭერა ნატოში გაწევრებასთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ საქართველოს წარმატებები აღნიშნა და გამოიყენა ტერმინი, რომ საქართველო დემოკრატიული და გამჭვირვალე ინსტიტუტების მშენებლობის კუთხით რეგიონში მაგალითია. გარდა ამისა, ხაზი გაესვა საქართველოს როლს და მნიშვნელობას ავღანეთის სამშვიდობო მისიაში. ერთი სიტყვით, კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ამერიკა საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვანი, სანდო და მხარდამჭერი პარტნიორია“, – განმარტა მინისტრის მოადგილემ.**

### დიმიტრი ლორთქიფანიძე: სააკაშვილმა გარკვეული ვალდებულებები პირადი თავდებობით აიღო

**ოპოზიციონერი დეპუტატის დიმიტრი ლორთქიფანიძის შეფასებით, ამერიკის მხრიდან ირანის წინააღმდეგ გარკვეული ექსპანსიის შემთხვევაში, მიხეილ სააკაშვილმა გარკვეული ვალდებულებები პირადი თავდებობით აიღო. აშშ-ს პრეზიდენტ, ბარაკ ობამასა და საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის შეხვედრის შეფასებისას, ლორთქიფანიძემ ყურადღება გაამახვილა უცხოური მედიის წარმომადგენლის მიერ დასმულ შეკითხვაზე, რომელიც ავღანეთში ქართული კონტინგენტის გაზრდას ეხებოდა. დეპუტატის თქმით, მიხეილ სააკაშვილმა ასეთ კითხვაზე ტრადიციულ პასუხს თავი აარიდა და არ განმარტა, რომ თითქოს ეს დაკავშირებულია ტერორიზმის საფრთხეებთან.**

**მისი თქმით, სააკაშვილმა აღნიშნა, რომ ეს დაკავშირებულია საქართველოს სიახლოვით რეგიონთან, რეგიონთან სიახლოვე კი, ლორთქიფანიძის შეფასებით, გულისხმობს ირანთან სამეზობლო კავშირ-ურთიერთობებს. მისივე თქმით, ირანის სახელმწიფოს მოხსენიება, როგორც ჩანს, ზედმეტად ჩაითვალა. დიმიტრი ლორთქიფანიძე დარწმუნებულია, რომ პრეზიდენტების შეხვედრაზე საუბარი იყო იმ რეგიონალური პოლიტიკის განვითარებაზე სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის ჭრილში, რაც გულისხმობს გარკვეული სამხედრო ექსპანსიის შესაძლო განხორციელებას მომავალში, ირანის წინააღმდეგ.**

ინტერპრესი

## სიცრუე-სიყალბის ზეობა

მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა სამშობიაროებში მისვლას მოუხშირა, გაცილებით მეტი ახალშობილი იბადება“. ახლახან ლაგოდეხის კლინიკაში ერთ დღე-ღამეში 10 ახალშობილი დაიბადა, რაც სპეციალისტებში დაეჭვების საბაბს იწვევს. ლაგოდეხის ერთ კლინიკაში 24 საათში თუ ამდენი ახალშობილი იბადება, მაშინ ამ ტემპით საქართველოში 400 ათასამდე ჩვილი უნდა იბადებოდეს, რაც არათუ საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაში არ ხდება.

ამ რამდენიმე დღის წინათ პრეზიდენტი ლაგოდეხის „არქიმედეს“ კლინიკას ეწვია და ლაგოდეხელი ახალშობილები პირადად მოინახულა. ახალშობილ ჩვილთაგან ერთ-ერთი პრეზიდენტის მისვლამდე რამდენიმე წუთით ადრე გაჩნდა. როგორც სახელისუფლო ტელევიზიები გვამცნობდნენ, ქვეყნის პირველმა პირმა თითოეულ მათგანს საჩუქრები მიუტანა და მათთან ერთად სამახსოვრო ფოტოებიც გადაიღო. აღსანიშნავია, რომ 3 დეკემბერს გახსნილ „არქიმედეს“ კლინიკაში უკვე 80 ბავშვი გაჩენილა. თუმცა ამ „შთამბეჭდავი“ სტატისტიკური მონაცემების შემხედვარე, ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორს, დემოგრაფ ანზორ თოთაძეს მარკ ტვენის ცნობილი გამონათქვამი გაახსენდა:

**„მარკ ტვენს ნათქვამი აქვს, რომ არსებობს სამი სახის სიცრუე: ერთი არის სიცრუე, მეორეა საძაგელი სიცრუე და მესამეა — სტატისტიკა. ამდენი ბავშვი საქართველოში არ დაბადებულა, ამდენად, ეს არის მაამებლური პოლიტიკა,“** — აცხადებს ანზორ თოთაძე Presage.Tv-სთან საუბრისას.

ანზორ თოთაძის თქმით, ქვედა ეშელონებში ძალიან კარგად იციან, რომ ხელისუფლებაში დიდი მოთხოვნაა, რათა ახალდაბადებული ბავშვების რაც შეიძლება მეტი ციფრი დაიდოს. სინამდვილეში კი, საქართველოში უმძიმესი დემოგრაფიული სიტუაციაა. ექსპერტის თქმით, ოფიციალური მონაცემები იმდენად მაამებლურია, რომ მათი ანალიზიც გვიჩვენებს, რომ ჩვენში დემოგრაფიული ვითარება კატასტროფულია. ეს მომავალშიც გაგრძელდება და დაახლოებით ათი წლის შემდეგ კიდევ უფრო მძიმე იქნება. **ანზორ თოთაძის განმარტებით, როგორც წესი, ყოველ ას გოგონაზე 104-106 ვაჟი იბადება. ახლა კი, ამ მაამებლური პოლიტიკის წყალობით, თურმე 127 ვაჟი დაბადებულა, ასეთი რამ მსოფლიოშიც არ არსებობს.**

**„იმის არ იყოს, მიხეილ სააკაშვილს ზარზეიმით რომ ხვდებიან და მისი დანახვისას ერთი ამბავია ატეხილი — სამი წლის ბავშვი, „მიშა-მიშას“ რომ იძახის, ხომ ვიცით, რომ ის დარიგებულია?! სწორედ გუშინწინ გამოაცხადეს, ლაგოდეხში ერთ დღე-ღამეში, ანუ 24 საათში, თურმე 10 ბავშვი დაბადებულა. ყოვლად გამორიცხულია, რადგან წლის განმავლობაში ლაგოდეხში იბადება 714 ბავშვი. თუ ამ რიცხვს 365 დღეზე გავყოფთ, მაშინ საშუალოდ ლაგოდეხში ორ ბავშვამდე უნდა დაიბადოს ერთ დღე-ღამეში. თანაც, არ არის სავალდებულო, მაინცდამაინც 2 ბავშვი დაიბადოს, შეიძლება გაჩნდეს 2, 3, 4, 5, 6 ბავშვიც, ან — არც ერთი, მაგრამ 10 ბავშვი?! ეს ხომ ნამეტანია?!“** — გაოცებას ვერ ფარავს ანზორ თოთაძე.

ამასთან, დემოგრაფის თქმით, გაკვირვებას ისიც იწვევს, რომ მაინცდამაინც პრეზიდენტის ჩასვლის თარიღს ამთხვევენ ბავშვები ამქვეყნად მოვლენას.

**„რაღა მაინცდამაინც, როცა მიშა საავადმყოფოს ხსნის და, როცა ჩადის კონკრეტულ რეგიონში, მაშინ იბადებიან ეს ბავშვები? სინამდვილეში, ეს ბავშვები ერთ დღეში დაბადებული არ არიან, რადგან, როდესაც შენ ხელში აგყავს თოთო ბავშვი, მისი ხელის ხლება რამდენიმე საათის განმავლობაში არ შეიძლება. თანაც, ქალი რომ იმშობიარებს, არ შეიძლება, ერთ-ორ საათში ან სამ საათში ააყენო. ეს გამორიცხულია, ამათ კი ხელში დააკავებინეს ბავშვები და ისე გადაუღეს სურათები. თუ სამშობიაროებში ასეთი დარღვევები ხდება, მაშინ ექიმი უნდა დაიჭირო!“**

ყველაფერ ამის გათვალისწინებით, ექსპერტი ასკვნის, რომ ბავშვები იმ დღეს არ დაბადებულან, ან წინა დღეებში არიან დაბადებული.

# ...და მესამე სტატისტიკა!

### სამშობიაროებში პრეზიდენტის მისვლისას განუზომლად ბევრი ჩვილი „იბადება“



**„თანაც, როგორ შეიძლება, საქართველოს დემოგრაფიული სურათის გათვალისწინებით, ერთდროულად ათი ბავშვი იბადებოდეს ლაგოდეხის კონკრეტულ კლინიკაში? ეს ბავშვები, როგორც ჩანს, ან წინა დღეს არიან დაბადებული, ან სულ მცირე, 5-6 საათით ადრე მაინც. თუ ერთ დღეში ლაგოდეხში ათი ბავშვი იბადება, მაშინ იქ უნდა დაიბადოს 4 ათას ბავშვამდე, ხოლო, თუ ამ მონაცემებს მივყვებით, საქართველოში სულ 360 ათასი ბავშვი ან 400 ათას ბავშვამდე უნდა დაიბადოს, რაც მთელ კავკასიაშიც არ იბადება ერთ წელიწადში“,** — განმარტავს ანზორ თოთაძე.

ამასობაში ლაგოდეხელი ჩვილის დაბადებით აღფრთოვანებული პრეზიდენტი აღტაცებას ვერ მალავდა: **„ნახე, როგორ გაუხელია თვალები, ჩამოყალიბებული პიროვნებაა!“** პრეზიდენტს არც უკანა რიგებში ატირებული ჩვილის მწუხარება გამორჩენია: **„ტირის, გამომაჩინეთო!“** ლაგოდეხელ მეან-გინეკოლოგებთან კი გულითადი საუბარი გამართა: — **„ვინ მიიღო ამდენი მშობიარობა? თქვენ მიიღეთ? არ გამოიყურებით ძალიან დაღლილად“,** — უთხრა ახალგაზრდა ექიმ ქალბატონს.

**„ყველა ერთბაშად დაგატყდათ თავს? ყოველთვის ლამაზები იყავით, მაგრამ ამ საავადმყოფოში უფრო ლამაზად გამოიყურებით და ბავშვებიც უფრო ლამაზად გამოიყურებიან“,** — არ დააყოვნა სააკაშვილის შეფასებამ.

**„მაგარი ამბავია, რომ ერთ დღეში გაჩნდა ათი ახალშობილი. საერთოდ, ჩვენ გვქონდა პატარა ჩამოწევა შობადობის კრიზისის გამო, ეკონომიკური კრიზისის გამო 2009-ში, მაგრამ მერე ისევ წავიდა ზრდა და საერთოდ, ბოლო წლებში ჩვენ გვაქვს პოზიტიური შობადობის ბალანსი, დაწყებული ვარდების რევოლუციის შემდეგ, და ეს არის ჯიუტი სტატისტიკა. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე პატარა საავადმყოფო. ძალიან ბევრი პაციენტი მოდის. ამიტომ, როცა ამბობენ, ძველი საავადმყოფოები დაიხურა, ახლები იხსნება და ძველები უფრო დიდი იყო თითქოს, სინამდვილეში, ძველები აღარ იყო და იქ პაციენტები საერთოდ აღარ დადიოდნენ, საერთოდ უაზროდ იდგა, ექიმებსაც არანაირი პრაქტიკა არ ჰქონდათ. რას არ იგონებენ, ხან ერთ სისულელეს, ხან — მეორეს, აპარატურა დააქვთ აქეთ-იქითო, მსახიობებს აწვენენ პაციენტების ნაცვლად და იმას ახვედრებენ სააკაშვილსო. ლაგოდეხის საავადმყოფო არ არის გამონაკლისი, ძალიან ბევრგან არის გაზრდილი მშობიარეთა რაოდენობა“,** — აღნიშნავდა პრეზიდენტი და დარწმუნებით აცხადებდა, რომ ასეთ საავადმყოფოებში დაბადებული ბავშვები ცხოვრებას უკეთესად იწყებენ.

**„ჩვენ გვებადება ახალი თაობა არა გომურებში, არა უბედურებაში, არამედ მათი მოვლენა ამქვეყნად დაკავშირებულია პროგრესთან, სინათლესთან, სითბოსთან“.**

ამის პარალელურად, ქართველი დემოგრაფები ასკვნიან: თუ ოჯახში სამი ბავშვია, მოსახლეობა თავისთავად მრავლდება. თუმცა საქართველოში, ქართულ ოჯახებში, ასეთი ნამატი ნაკლებია.

**„ყოველწლიურად 180-200 ათასი ბავშვი იბადება ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანში, ხოლო სულ რამდენიმე წელიწადში საქართველოში 25 ათასი ბავშვი რომ დაიბადება, მათგან მხოლოდ 18 ათასამდე იქნება ქართველი. 18 ათასი ქართველის იმედად დარჩენილ საქართველოში რა ღონისძიებებიც არ უნდა გაატარო, მის დემოგრაფიულ სურათს უკვე ვერაფერს უშველი. ამიტომ საჭიროა, ახლავე დავიწყოთ აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება, რათა როგორმე ეს პროცესი შევაჩეროთ. უკვე ამის მერე უნდა ვიზრუნოთ მოსახლეობის გამრავლებაზე“,** — აცხადებს ანზორ თოთაძე.

მისი თქმით, მომავალი 20-იანი წლებისთვის ჩვენში შობადობა ძალიან შემცირდება და მოსახლეობის ბუნებრივი კლება მოხდება. თანაც, გასათვალისწინებელია, რომ მოკვდაობა იზრდება. ამ დროს კი ვისთვის შენდება ლაზიკა, გაურკვეველია.

**„შარშან ზაფხულში პრეზიდენტმა გამოაცხადა, რომ ქუთაისი უნდა გახდეს 500-ათასიანი ქალაქი, ე.ი. მოსახლეობამ 300 ათასზე მეტით უნდა მოიმატოს. რამდენიმე დღის წინათ კი თქვა, ბათუმში ცხოვრობს 180 ათასი და ეს ზღვისპირა ქალაქი უნდა გახდეს 300 ათასიანიო; ჯერ ერთი, ამჟამად ბათუმში 180 ათასი ადამიანი არ ცხოვრობს, არამედ — მხოლოდ 125 ათასი. იმისთვის, რომ გახდეს 300 ათასიანი ქალაქი, მოსახლეობამ თითქმის 200 ათასით უნდა მოიმატოს. ახლა ლაზიკაც ავიღოთ, აქ უნდა იცხოვროს 500 ათასმა კაცმა და მეტმა კიდევ. ეს ყველაფერი, რაც ჩამოვთვალე (მოსახლეობის რიცხვით „გაზრდილი“ ბათუმი, ქუთაისი და ლაზიკა), საბოლოო ჯამში, მილიონ კაცს გვაძლევს“,** — აცხადებს ექსპერტი და ინტერესდება, **საიდან მოიყვანენ ამ მილიონ კაცს?**

მისი თქმით, ქართულ სოფლებში აღარ არის მოსახლეობა. გლობალიზაციისთვის კი ნაციონალური ფაქტორი სულ ერთია, გლობალისტებისთვის მთავარია, ლანდშაფტი არ დარჩეს აუთვისებელი, ცარიელი.

**„გლობალისტებს აინტერესებთ სამუშაო ძალა და არა ის, ე.წ. სამუშაო ძალა რა ეროვნებისაა. 20-იან წლებში კიდევ მეტი მოთხოვნა იქნება მუშახელზე. რა უნდა გავაკეთოთ? საიდან მოვიყვანოთ ეს ხალხი? რჩება ერთადერთი ვარიანტი, უნდა შემოვიდეს სხვა კულტურა, რელიგიური აღმსარებლობა, სხვა ცხოვრების წესი, რაც, ფაქტობრივად, ჩვენისთანა მცირერცხოვანი ერისთვის დამღუპველია. როცა რუსეთში შიშობენ, თუ ასე გაგრძელდა, ჩვენ გავქრებით და შეგვიერთებს რომელიმე დიდი მეზობელი სახელმწიფოო, (რუსეთისთის დიდი მეზობელი არის ჩინეთი და ინდოეთი), ჩვენთვის აგერ, თურქეთია. ქვეყანა გაივსო თურქებით, ჩინელები მოდიან, პაკისტანელებიც ძალიან დიდი რაოდენობით მოდიან, ინდოელებიც არ ჩამორჩებიან. ბურები? თუ ჩამოვიდნენ კი, მაგრამ ჩამოვლენ? რუსს ვეღარ დაინახავ ქუჩაში, ადრე ხომ რუსები დადიოდნენ, ახლა მათ მაგივრად ზანგები დადიან ბლომად. არ ვარ ისეთი კაცი, დაჟინებით მოვითხოვდე, არიქა, სხვა ერმა არ იცხოვროს-მეთქი. პირიქით, სხვა ერის წარმომადგენელი რომ ცხოვრობდეს, ამით ჩვენი ცხოვრების წესი გამდიდრდება, მაგრამ არც იმას შემიძლია გულარხეინად ვუყურო, როდესაც ჩვენი ერი მცირდება და სხვა ერები შემოდიან. ფაქტობრივად, საქართველო საქართველო აღარ იქნება. ქართველი აღარ იქნება ქართველი, რადგან ვინც აქ ცხოვრობს, ის უნდა იყოს ძირითადი. სახელწოდება ვინც მისცა ქვეყანას, ის ერი არ უნდა აღიგავოს!“** — მიიჩნევს დემოგრაფიის სპეციალისტი.

**მანანა ნოზაძე**

Presage.tv

## „კრიშობაში“ ფულს იღებენ

# ჩინოვნიკები ქურდული მენტალიტეტით

ხელისუფლება თავდაუზოგავად ცდილობს დაგვიმტკიცოს, რომ ხმალამოღებული ებრძვის კორუფციას. თითქმის ყოველდღიურად მართავდი ტელევიზიების ეთერში ვხედავთ სიუჟეტებს თანამდებობის პირების დაკავების, მათი კორუფციული გარიგებების ჩანაწერების (გაკეთებულს სასამართლოს ნებართვის გარეშე, ე. ი. უკანონოსძ შესახებ. მაგრამ ზემოდან მომავალი კორუფცია ქვედა რგოლებშიც ჰყავის. აქაც ხდება დაკავებები, მაგრამ ხელისუფლება მათ შესახებ არაფერს ამბობს. დუმილს ირჩევენ ჯიბის ტელევიზიები. მათი სასამართლოებიც კონსპირაციულად ტარდება.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ქრთამის აღების ბრალდებით იუსტიციის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს ზაზა გადელიას 6 წლით თავისუფლების აღკვეთა და 20 ათასი ლარის ანაზღაურების განაჩენი გამოუტანა.

როგორც გამოძიების მასალებიდან ირკვევა, გორგასლის მოედანზე იუსტიციის სამინისტროს სათავო ოფისი უნდა აშენებულიყო. ხარჯთაღრიცხვის წარმოება მთლიანად სამინისტროს ეკონომიკურ დეპარტამენტს უნდა ეწარმოებინა. სამუშაოები შპს „აქსმშენს“ უნდა ეწარმოებინა (როგორ გაიმარჯვა ამ ფირმამ კონკურსში, ალბათ გამოძიება დაადგენსძ. დეპარტამენტის უფროსის მოადგილე გადელია სამშენებლო კომპანიის გენერალურ დირექტორს ორჰან აქსუს დაუკავშირდა. ქართველი ჩინოსანი გენდირექტორს ხელშეუხებლობისთვის 4 ათას დოლარს სთხოვდა. მეტი დამაჯერებლობისთვის თურქი თავის უშუალო უფროსს, იმჟამად დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს ზაზა ჩიჩუას გააცნო. შეთანხმდნენ, მშენებლობის სახელით ფულს ორ ზაზას შპს-ს ტექნიკური ჯგუფის უფროსი ანზორ კეკელიძე გადასცემდა. ჩიჩუამ დათქმულ დროსა და ვადაში ფული ქავთარაძის ქუჩაზე, ტექნიკური ბაზრის ტერიტორიაზე აიღო. ქრთამის გადაცემის შემდეგ „აქსმშენს“ იუსტიციის სამინისტრომ დაუყოვნებლივ ჩაურიცხა 1 მლნ 653 096 ლარი. ამაში გადელიამ დამატებით 6800 ლარი მოითხოვა. ჩაჩუას ეს თანხა ისევ კეკელიძის ხელით მიართვეს. დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ აქსუსაგან აგარაკზე სახლის აშენება მოსთხოვა, ხარჯთაღრიცხვაში კი გაცილებით ნაკლები თანხები აჩვენა.

მართალია გადელია გაასამართლეს, მძიმე განაჩენიც გამოუტანეს, მაგრამ ფულებს ხომ მისი უფროსი ჩიჩუა იღებდა. დაუჯერებელია, რომ იგი თავისი მოადგილის ხელის ბიჭი ყოფილიყო. იურისტების ვარაუდით სწორედ ეს საქმის არასწორი წარმართვა უნდა იყოს გასაიდუმლოების მიზეზი. დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი იუსტიციის მინისტრის ახლობელი და მისი კადრია. ამის გამოც დარჩა იგი ხელუხლებელი.

**ზაზა ბილიხოძე**

სადისკუსიოდ

# „Who is Who“ არჩევნების წინ

(მეოთხე გვერდიდან)

მართლაცდა ძნელია, მიღებული ყოფილიყო უკეთესი გადაწყვეტილება ქვეყანაში, სადაც ამდენი პოლიტიკური პარტია, ამდენი გამოკვეთილი პოლიტიკური ლიდერი და მათი მხარდამჭერი არსებობს. **ეს იყო გადაწყვეტილება, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ პოლიტიკური ზომიერების დადასტურება, შეურიგებლობისა და ტოლერანტულობის დელიკატური ნაზავი, პრინციპულობისა და კომპრომისის გონივრული დაბალანსება. ნებისმიერი სხვა — უფრო რადიკალური ან უფრო კომპრომისული გადაწყვეტილება იქნებოდა გაცილებით უარესი იმ დროსა და სივრცეში, რაშიც ახლა ვიმყოფებით.** აი, ეს არის „პოლიტიკა“ და არა პოლიტიკურ საკითხებზე გალექსილი ტექსტების საზოგადოების წინაშე გაუთავებელი პროდუცირება. მით უმეტეს არ არის „პოლიტიკა“ სიცრუის დამაჯერებლად თქმა ან უნიჭოდ ჩატარებული ფოკუსების ორომტრიალი. ამიტომაც ღიმილით ვუყურებ იმ პოლიტიკოსთა ცინიკურ გამონათქვამებს, ივანიშვილის პოლიტიკური გამოუცდელობა რომ მიაჩნიათ თავიანთ მთავარ კოზირად არჩევნებში მის დასამარცხებლად.

მეორე დიდი ჯგუფი „არჩევნებისაგან განზე მდგარი“ ადამიანებისა ისინია, ვისაც „პოლიტიკა არ აინტერესებს“, ისეთ „მაღალ მატერიებზე“ არიან გადანაცვლებულნი; ანდა უბრალოდ არ სცალიათ, რადგან „საქმეში“ არიან ჩართულები და „ბიზნესს აკეთებენ“; აგრეთვე ისინი, ვისაც პოლიტიკური პარტიის წევრობა „პოლიტიკაში ჩართულობისაგან“ ვერ გაურჩევია და არაფერი სმენია სამოქალაქო პასუხისმგებლობაზე საკუთარი ქვეყნის წინაშე. ასეთ ადამიანებს პოლიტიკურ დასავლეთში **„უბილეთო მგზავრებად“ მოიხსენიებენ, ანუ, უწოდებენ ადამიანებს, რომლებიც არ ცდილობენ თავიანთი წვლილი შეიტანონ თავიანთი ინტერესების დაცვაში — დაე, სხვამ გააკეთოს ჩემი საქმე — ესაა მათი პოზიცია.** ასეთი ადამიანების არსებობა დალაგებულ ქვეყნებში ნაკლებად არის პრობლემატური, რადგან მთელი სახელისუფლო სისტემა საზოგადოებისა და თითოეული ადამიანის კეთილდღეობაზეა ორიენტირებული, ხოლო თავად საზოგადოებას კარგად ესმის თავისი შეუცვლელი როლი იმაში, რომ სწორედ ისეთი ხელისუფლება ჰყავდეს, როგორიც სურს რომ ჰყავდეს... საქართველოს ყაიდის ქვეყნებში „უბილეთო მგზავრების“ პრობლემა გაცილებით მეტად არის შემაშფოთებელი. ასეთი მენტალობა, ჩემი აზრით, ყველაზე უფრო დიდი პრობლემაა, რომელიც თანდათანობით უნდა იქნეს დაძლეული. ამაში ვხედავ მე საქართველოს მომავალი ხელისუფლების ერთ-ერთ უმთავრეს საზრუნავს. თუ თითოეულ ჩვენგანს არ გაუჩნდა საქვეყნო საქმეში თავისი წვლილის შეტანის სურვილი, მოთხოვნილება და შესაძლებლობა, ვერავითარი ხელისუფლების ცვლა ვერ გვიშველის. ამიტომაც მგონია, რომ ივანიშვილის პოლიტიკურმა ძალამ ფართოდ უნდა ჩართოს საზოგადოება პოლიტიკურ ცხოვრებაში, მისცეს თავისი იდეების რეალიზების შესაძლებლობა, ხელი შეუწყოს მისი ინიციატივების ხორცშესხმას. ყოველივე ამით კი შეაგრძნობინოს საკუთარი ძალა და მნიშვნელობა, გაუჩინოს საკუთარი თავისადმი რწმენა, გაუღვივოს პოლიტიკური აქტივობის მოტივაცია და აქციოს იგი ნამდვილ ბატონ-პატრონად თავისი ქვეყნისა. პირადად ჩემთვის, ესაა „ქართული ოცნება“ და ის ხიბლი, რომელიც ამ პოლიტიკურ ძალას გააჩნია.

ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა თავისი პირადი მაგალითით ნამდვილად დაადასტურა, რომ **არ არსებობს იმაზე მეტი „საქმე“, ვიდრე სამშობლოსათვის ზრუნვა.** ამას სწორედ იმ ბიზნესმენთა გასაგონად ვამბობ, „საქმის“ მომიზეზებით რომ გაურბოდნენ პოლიტიკურ პროცესებში აქტიური როლის შესრულებას, თავიანთი უმოქმედობით თავად რომ უწყობდნენ ხელს ბიზნესის დატერორებას, ხოლო შემდეგ უკეთურობის წინააღმდეგ ხმის ამოუღებლობას ისევ ამ ტერორის შიშით რომ ამართლებდნენ. **თუკი „საქმე“ მხოლოდ „ბიზნესის კეთებაა“, არა მგონია, ბიძინა ივანიშვილზე მეტი „საქმე“ ჰქონოდა ვინმეს საქართველოს მოქალაქეებს შორის, ანდა მასზე უფრო უკეთ გარანტირებული მომავალი თავისი ოჯახისა და შთამომავლებისათვის.** სამშობლოს კეთილდღეობაში უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში მის მიერ გაწეული სრულიად უპრეცედენტო (აბსოლუტურ თუ შეფარდებით განზომილებაში) ქველმოქმედებით მას მშვიდად შეეძლო თავისი ვალი სამშობლოს წინაშე მოხდილად ჩაეთვალა. **მაგრამ მან არ მიიჩნია ეს საკმარისად და ლოგიკურად მივიდა იმ გადაწყვეტილებამდე, რომ პოლიტიკური პროცესის მართვაზე აეღო პასუხისმგებლობა, რითაც თავზე დაიტეხა უამრავი უსიამოვნო რამ, მათ შორის არაერთი ცილისწამება და მასზე ბევრად უფრო უარესი — უმადურობა.** ამის გათვალისწინებით, მისი პოლიტიკაში წასვლა უნდა შევაფასოთ, როგორც დიდი შინაგანი გადაწყვეტილება, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისაგან, სინდისისაგან ვერგაქცევა, ქარცეცხლში გადაშვება ყველაზე საჭირო დროს, საკუთარი ძალებისადმი რწმენით, იმედებითა და ოცნებებით.

ახალი და ავტორიტეტული პოლიტიკური ლიდერი ისე ესაჭიროებოდა ქართულ პოლიტიკას, როგორც მაცოცხლებელი წყარო უდაბნოში გათანგულ ადამიანებს, ჰორიზონტის ერთგვაროვნებაში ჰალუცინაციებსა და რეალობას რომ ველარ არჩევენ ერთმანეთისაგან.

არამც და არამც არ მინდა ვინმემ ეს სიტყვები „მხსნელის“ მოლოდინად მონათლოს. **„მხსნელი“ ბიძინა ივანიშვილი კი არ არის, არამედ ისეთი სამოქალაქო პასუხისმგებლობა, რომელიც მან პოლიტიკაში მოსვლითა და ურთულეს დროს დიდი პასუხისმგებლობის აღებით დაადასტურა.** პირიქით, რაც შეიძლება მალე უნდა დავამთავროთ პოლიტიკური ლიდერების „მესიანობისა“ თუ „მამამარჩენალობის“, ვირტუალური წარმატებებისა თუ მირაჟული დემოკრატიის, ქარიზმატულ ბუღსა და კორიანტელში აღთქმული ქვეყნის ძიებისა და ისეთი ხელისუფლების ეპოქა, დემოკრატიის სიკეთე და მადლი თვითონაც რომ ვერ გაიგო და არც ხალხს რომ აგემა იგი.



სხვათა შორის, ივანიშვილის გამოჩენამ პარტიული თვითიდენტიფიკაციის პროცესს ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერებს შორისაც შეუწყო ხელი. ზოგიერთ მათგანს კიდევ უფრო გაუმყარა მისაგან საკუთარი თავის განუყოფლობის განცდა; ზოგი კი ისე გადმოიყვანა თავის მხარდამჭერთა რიგებში, რომ საგანგებოდ არც კი უზრუნია ამისათვის. ეს არის კატეგორია, მუდამ ძლიერს რომ უჭერს მხარს და სურს „ძლიერთან“ ასოცირდებოდეს. ამიტომ მისმა პოლიტიკურმა ლიბიდომ ინსტინქტურად გადმოინაცვლა ივანიშვილზე, რაკი ამ ეტაპზე იგი მიიჩნია „ძლიერად“ და მომავლის მქონედ. ივანიშვილის პოლიტიკური გრავიტაციის ძალამ საკმაოდ იოლად მოსწყვიტა ისინი ნაცმოძრაობის ორბიტას. სააკაშვილის მომხრეებიდან ივანიშვილის პოლიტიკურ ძალასთან თვითიდენტიფიკაცია იმ ნაწილმაც მოახდინა, რომელსაც მაინცდამაინც არც მანამდე ეპიტნავებოდა სააკაშვილი, მაგრამ „რეალური პოლიტიკური ალტერნატივის არარსებობის გამო“ (ეს სინდისის ქენჯნისაგან მხსნელი მათი არგუმენტიაძ, ისევ ნაციონალური მოძრაობისათვის ერჩივნა თავის შეფარება; ასე უფრო კომფორტულად გრძნობდა თავს და „რაღაც მაინც რომ კეთდება“ მოშველიებით უფრო იოლად უმკლავდებოდა თავისმოტყუილებით გამოწვეულ გაღიზიანებას.

უფრო მეტიც. ივანიშვილის დიდი მორალური თუ ფინანსური ძალმოსილება, რაც მისი პოლიტიკური განაცხადის სერიოზულობას მოასწავებს, უთუოდ გააჩენს — თუ უკვე არ გაუჩენია — ასეთივე თვითიდენტიფიკაციის პროცესს უშუალოდ ნაციონალური მოძრაობის შიგნით. ნაციონალური მოძრაობა რომ საერთო ღირებულებებს ემყარებოდეს და არა საერთო ინტერესებს, ასეთი პროცესი მოსალოდნელი არ იქნებოდა. სააკაშვილის ხელისუფლებიდან წასვლის მოახლოებისას არც ნაცმოძრაობის მხარდამჭერთა პოლიტიკური ლიბიდო გადაინაცვლებდა სხვაგან და არც სააკაშვილი იგრძნობდა, რომ დღეს, როგორც არასდროს, ისე ესაჭიროება თავისი თავის, თავისი მხარდამჭერებისა და, რაც მთავარია, თავისი ნაცკოლეგების თვალში „შეუცვლელ ლიდერად“ თავისი იდენტიფიკაცია. იგი საბედისწერო ნადირობისათვის ემზადება და, თუ ხელი მოეცარა, ან მისმა კოლეგებმა ამის სუნი იკრეს, ისინი თავად გაემიჯნებიან მას, ზუსტად ისე, როგორც თავის დროზე, „მოქალაქეთა კავშირის“ წიაღში „შვილი კომპანიასავით“ წამოზრდილი „ნაციონალური მოძრაობა“ გაემიჯნა „მოქალაქეთა კავშირს“. ახალგაზრდა მოქკავშირლებმა ისეთი თვითიდენტიფიკაცია ჩაიტარეს, რომ მთლიანად უარყვეს თავიანთი ჯიში და მოდგმა და ახლა მამის სახელის ხსენებასაც ვერავინ უბედავს. **საინტერესოა, რა მოხდება სააკაშვილის წასვლისას, როგორ მოხდება ნაცმოძრაობის წევრების პარტიული თვითიდენტიფიკაცია — მის წიაღში ისევ გაჩნდება „შვილი კომპანია“, რომელიც მამის საქმეების გადაფასებას, მის ძაგებასა და ახალი სახელით თავის დამკვიდრებას დაიწყებს, სხვა პოლიტიკური თავშესაფრის ძიებას შეუდგებიან ისინი, თუ მთლიანად გაქრებიან როგორც ცუდი სიზმარი?**

ასეა თუ ისე, საარჩევნო ღუზის ჩაშვების წინ, იმისდა მიხედვით, თუ სად აღმოჩნდება პოლიტიკური სიმძიმის ცენტრი, ქართულ პოლიტიკურ „Who is Who“-ს უთუოდ მოელის ახალი და მოულოდნელი მეტამორფოზები.



**ევა გოცირიძე,**
**ქ. სტრასბურგი**

## ინფორმაცია

### 5 წლის ჩათვლით ბავშვები უფასო სახელმწიფო დაზღვევას სექტემბრიდან მიიღებენ

**0-დან 5 წლის ჩათვლით ბავშვები უფასო სახელმწიფო დაზღვევას მიმდინარე წლის პირველი სექტემბრიდან მიიღებენ.**

**ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ანდრია ურუშაძემ განუცხადა.**



**მისი განმარტებით, სახელმწიფოს ხარჯზე, საქართველოს მასშტაბით, სულ 250 000 ბავშვი იქნება დაზღვეული.**

**„ეს ეხება სკოლამდელი ასაკის 0-დან 5 წლის ბავშვებს. მათთვის ჰოსპიტალური და ამბულატორული მომსახურება უფასო იქნება. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში დაიბადება თაობა, რომელსაც ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის პრობლემა არ ექნება“, — აღნიშნა ჯანდაცვის მინისტრმა.**

**სკოლამდელი ასაკის ბავშვების სახელმწიფოს მიერ დაზღვევის ინიციატივა საქართველოს პრეზიდენტს ეკუთვნის.**

ინტერპრესი

## ჩვენი პრესდაიჯესტი

ჟურნალ-გაზეთებიდან

### ინვესტორები მსხვილი ჰესების აშენებას ვერ ბედავენ

საქართველოში 2015 წლამდე მხოლოდ 10 მცირე ჰესი აშენდება. ინვესტორებს შიდა და გარე პოლიტიკური ფაქტორები არ ხიბლავთ და ქვეყანაში ინვესტიციების ჩადებას ერიდებიან. არადა, ქვეყანას ექსპორტზე გასატანად მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზები თითქმის მზადა აქვს.

**„რეზონანსი“.**



### რა პრეტენზიებს უყენებს სოსო ჯაჭვლიანი ბიძინა ივანიშვილს?

„როგორ შეიძლებოდა, ნანა დევდარიანი იქიდან წამოსულიყო? ნანას რომ დაელაპარაკები, მის ნააზრევს რომ წაიკითხავ, როგორ შეიძლება, ეს ადამიანი გვერდიდან მოიშორო? თუ ესენი ვიღაცებთან ფარულ გარიგებებში არ შედიან, მაშინ რისი ეშინიათ, რატომ არ იყენებენ გვერდით ყველას? ყველა სათავისოდ იქაჩება, ძმაო, საქართველოსთვის არავინ არ იქაჩება“.

**„ალია“.**

### რა მოსთხოვა ობამამ სააკაშვილს?

რადგანაც ხელისუფლების პიარმანქანა ორი პრეზიდენტის შეხვედრას მხოლოდ დადებითი კუთხით წარმოაჩენს, ამ ფაქტს კრიტიკის გარკვეული დოზითაც შევეხოთ. რა განწყობით დახვდა ობამა მიხეილ სააკაშვილს? მისი განწყობა იმ განცხადების გამოქვეყნებიდანაც ჩანს, რომელიც თეთრი სახლის ვებგვერდზე ამ დღეებში დაიდო. ეს არის პეტიცია, რომელზეც მოქალაქეები ინტერნეტის მეშვეობით ამ წუთშიც აწერენ ხელს. ტექსტი ობამას საქართველოდან მიაწოდეს.

**„ახალი თაობა“.**

ზღურბლს მიღმა



# რატომ შიმშილობენ მსჯავრდებული დედები?

**რუსთავის ქალთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შვიდი მსჯავრდებული შიმშილობს, — ავრცელებს ინფორმაციას უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე. მისი თქმით, ქალებმა, რომლებსაც სამ წლამდე მცირეწლოვანი შვილები ჰყავთ, 30 იანვრიდან შიმშილობის აქცია დაიწყეს, რადგან არსებული კანონის თანახმად, მას შემდეგ, რაც ბავშვებს 3 წელი შეუსრულდებათ, თუკი მათ სხვა ოჯახის წევრები არ ჰყავთ, ციხის ადმინისტრაციას ისინი მიუსაფარ ბავშვთა სახლებში გადაჰყავს. პატიმარი ქალები კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანასა და დედებისა და ბავშვების უფლებების დაცვას მოითხოვენ:**

**„დედები შენობიდან გამოვიდნენ და ამბობენ, გავიყინებით, შვილებთან ერთად დავიხოცებით და შვილებს არავის მივცემთო“,** — ამბობს ნანა კაკაბაძე **რადიო თავისუფლებასთან** საუბარში.

საინტერესოა, როგორ იყო 2010 წლამდე, ანუ მანამდე, სანამ სისხლის სამართლის კოდექსის 75-ე მუხლში ცვლილება შევიდოდა:

**„თუ ორსული ქალი ან ქალი, რომელსაც ჰყავს შვიდ წლამდე შვილი, მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის არ არის მსჯავრდებული, სასამართლოს შეუძლია გადაუვადოს მას სასჯელის მოხდა, ვიდრე შვილს შვიდი წელი არ შეუსრულდება“.**

ყველა გადაწყვეტილება ინდივიდუალურ საფუძველზე უნდა იყოს მიღებული. ყველაზე მნიშვნელოვანია ბავშვის ინტერესების გათვალისწინება, ანუ როგორ იმოქმედებს მასზე დედისაგან მოწყვეტა...

თუმცა 2010 წლის პირველი ოქტომბრიდან სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილება შევიდა და, იმ დღიდან მოყოლებული, სასამართლოს სასჯელის მოხდა შეუძლია გადაუვადოს მხოლოდ ორსულ ქალს, მშობიარობის შემდეგ ერთ წლამდე. დღეისათვის არსებულ პატიმრობის კოდექსში მითითებულია, რომ საჭიროების შემთხვევაში თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ეწყობა სპეციალური განყოფილება ფეხმძიმე ქალებისა და ბავშვებისთვის. დედის შუამდგომლობით, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების ნებართვითა და ადმინისტრაციის თანხმობით, შეიძლება დედისა და 3 წლამდე ბავშვისთვის ერთად ცხოვრების პირობების შექმნა. თუმცა მას შემდეგ, რაც ბავშვს სამი წელი შეუსრულდება, თუკი მას სხვა ოჯახის წევრები არ ჰყავს, ციხის ადმინისტრაციას ის მიუსაფარ ბავშვთა სახლში გადაჰყავს. სწორედ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მცხოვრები დედები მოითხოვენ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანას და შვილების მათთან დატოვების უფლებას.

**ბანგკოკის წესები — ეს არის სპეციფიკური წესები, რომელიც 2010 წელს გაერომ მიიღო** და სადაც პატიმარ ქალთა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ არის მითითებული. **დოკუმენტის მიხედვით, გათვალისწინებულია რა პატიმარი ქალების კონკრეტული საჭიროებები და მოთხოვნები, ერთ-ერთი წესის თანახმად, დაწესებულებაში მიღებამდე ან მიღების დროს ქალებისთვის, რომელთაც მზრუნველობის პასუხისმგებლობა აქვთ ბავშვების მიმართ, შესაძლებელი უნდა იყოს პატიმრობის გადავადება ბავშვების ინტერესების გათვალისწინებით.**

ცირა ჭანტურია, ორგანიზაცია „ციხის საერთაშორისო რეფორმის“ წარმომადგენელი, რადიო თავისუფლებასთან საუბარში სწორედ საერთაშორისო ნორმებზე ამახვილებს ყურადღებას და ამბობს, რომ ასეთ სიტუაციაში გადაწყვეტილება ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების გათვალისწინებით უნდა მიიღებოდეს:

**„ყველა გადაწყვეტილება ინდივიდუალურ საფუძველზე უნდა იყოს მიღებული. ყველაზე მნიშვნელოვანია ბავშვის ინტერესების გათვალისწინება, ანუ როგორ იმოქმედებს მასზე დედისაგან მოწყვეტა. და ამიტომ, თუკი პირდაპირი ჩვენება არ არის, რომ დედა უარყოფით გავლენას ახდენს შვილზე, რა თქმა უნდა, საერთაშორისო სტანდარტები იძლევა რეკომენდაციას, შეიქმნას ისეთი პირობები, რომ ბავშვი დედასთან იყოს“,** — ამბობს ცირა ჭანტურია.

თუმცა, ცირა ჭანტურიას თქმით, აქვე ჩნდება მეორე პრობლემა: სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში არ არის ის პირობები, რომ ბავშვმა ერთდროულად დედასთანაც იცხოვროს და პარალელურად სკოლაშიც იაროს. გარდა ამისა, არ არის მოზარდის განვითარებისთვის აუცილებელი შესაფერისი გარემო. სწორედ ამიტომ ის აღნიშნულ თემას ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ საკითხად მიიჩნევს. ერთი მხრივ, გასათვალისწინებელია ბავშვის უფლება იცხოვროს დედასთან ერთად და, მეორე მხრივ, კიდევ ერთი უფლება — გაიზარდოს ისეთ გარემოში, რომელიც მას მომავალი განვითარების საშუალებას მისცემს.

იანვრის დასაწყისში საქართველოს პირველმა ლედიმ სასჯელაღსრულების დედათა და ბავშვთა განყოფილება მოინახულა. ის იმ უფლებაზე საუბრობს, რომელიც დედა-შვილს საშუალებას აძლევს — ერთად იყვნენ, ვიდრე შვილს სამი წელი არ შეუსრულდება:

**„ეს არის ბავშვებისათვის და დედებისთვის ძალიან კარგი შანსი, რომ დედა-შვილს შორის შედგეს ემოციური კავშირი და შეუმსუბუქდეთ დედებს ის ურთულესი პერიოდი, რასაც პატიმრობა ჰქვია“,** — ამბობს საქართველოს პირველი ლედი სანდრა რულოვსი.

როგორი შეიძლება იყოს ბავშვის ემოციური მდგომარეობა მას შემდეგ, რაც ის დედისგან წავა? ამ კითხვით რადიო თავისუფლებამ ფსიქოლოგ თეა გოგოტიშვილს მიმართა: სამი წლის ასაკში ჩვენს ცხოვრებაში პირველი გარდატეხის პერიოდი დგება და ის ფსიქოლოგიაში „სამი წლის კრიზისად“ არის ცნობილი, ამბობს თეა გოგოტიშვილი. მისი თქმით, ეს ის პერიოდია, როდესაც ბავშვის ფსიქიკური მდგრადობა ყალიბდება და სწორედ ამიტომ ფსიქოლოგი მიუღებლად მიიჩნევს ამ ასაკის ბავშვის დედისგან მოცილებას:

**„ჩვენ ფსიქოლოგიაში ხშირად განვიხილავთ სწორედ იმ დეფიციტის შედეგად განვითარებულ პრობლემებს, რომელიც გამოწვეულია მცირეწლოვანი ბავშვებისა და მშობლების ურთიერთობის ნაკლებობით. ამ შემთხვევაში, სამწუხაროდ, დეფიციტზეც კი აღარ გვიწევს საუბარი, საქმე გვაქვს რადიკალურ გადაწყვეტილებასთან და სტრესთან, რომელიც აუცილებლად დატოვებს მძიმე კვალს ბავშვზე“.**

მსჯავრდებული დედების შიმშილობის თაობაზე რადიო თავისუფლება მთელი დღის განმავლობაში ცდილობდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტთან დაკავშირებას, მაგრამ ცდა უშედეგო აღმოჩნდა. რაც შეეხება, სახალხო დამცველის ოფისს, მათი განმარტებით, ისინი საკითხს სწავლობენ და ინფორმაციას უახლოეს მომავალში გაავრცელებენ.

**ნინო თარხნიშვილი**

ინფორმაცია

## საპარლამენტო უმრავლესობაში „ხელისუფლების ფორმალური გადაბარების“ კონტექსტი განმარტეს

**საპარლამენტო უმრავლესობაში აშშ-ის პრეზიდენტის ბარაკ ობამას გამონათქვამის — „ხელისუფლების ფორმალური გადაბარების“ კონტექსტი განმარტეს. როგორც ჟურნალისტებს საგარეო ურთიერთობათა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ აკაკი მინაშვილმა განუცხადა, ხელისუფლების გადაბარება ნიშნავს, რომ არჩევნების გზით ვინც მოვა, ხელისუფლება მას უნდა გადაეცეს, თუმცა ეს არ ნიშნავს ხელისუფლებაში აუცილებლად სხვა ძალის მოსვლას.**

**ამასთან, აკაკი მინაშვილს ალოგიკურად მიაჩნია, რომ შეერთებულმა შტატებმა ვინმეს ურჩიოს, ვინ უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში და ვინ — არა. მისივე თქმით, პრეზიდენტმა ობამამ იგულისხმა, რომ ხელისუფლება არჩევნებში გამარჯვებულ პოლიტიკურ ძალას უნდა გადაეცეს.**

**— მაგალითად, თუ არჩევნებს „ნაციონალური მოძრაობა“ მოიგებს, ხელისუფლება ამ გუნდს გადაბარდება, — დასძინა მინაშვილმა.**



**საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსდა ბარაკ ობამას გუშინდელი განცხადების სრული ტექსტი.**

**ამ ტექსტის მიხედვით, ბარაკ ობამა აცხადებს: „მინდა, კიდევ ერთხელ გამოვხატო ჩემი პატივისცემა თქვენს მიერ უკვე შესრულებული სამუშაოს მიმართ და გამოვთქვა იმედი, რომ გაიმართება სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნები. საქართველოში მალე ძალაუფლების ფორმალური გადაცემა მოხდება, რაც, ვფიქრობ, კიდევ უფრო განამტკიცებს უკვე განხორციელებულ რეფორმებს“.**

## ლაზური და იმერული ეთნოგენეზის ნათესაობა კვლევებით დადასტურდა



**ლაზური და იმერული ეთნოგენეზის ნათესაობა კვლევებით დადასტურდა . როგორც „ინტერპრესნიუსს“ ეთნოგენეტიკის კვლევის პროექტის ხელმძღვანელმა გიორგი ანდრიაძემ განუცხადა, ეთნოგენეტიკის კვლევის პროექტი წმინდა ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტის, ლაიფციგის უნივერსიტეტისა და მოსკოვის სამეცნიერო გენეტიკური კვლევის ცენტრთან თანამშრომლობით განხორციელდა.**

**მისივე თქმით, ერთი წლის განმავლობაში ხდებოდა თურქეთში მცხოვრები ქართული ტომის, ლაზებისა და საქართველოში იმერლების გენეტიკის შესწავლა, ერთმანეთთან შედარება. კვლევამ მათი ნათესაობა დაადასტურა. ეთნოგენეტიკური კვლევების შედეგების პრეზენტაცია წმინდა ანდრია პირველწოდებულის ქართულ უნივერსიტეტში გუშინ გაიმართა. ანდრიაძემ აღნიშნა, რომ ეთნოგენეტიკა თანამედროვე მეცნიერული მიმართულებაა, რომელიც უკვე საქართველოშიც იქნება.**

ინტერპრესი



რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ობამა საქართველოს ლიდერს რუსეთთან დავის ფონზე ხვდება

**ორშაბათს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას საქართველოს ახალი იმედები ჩაუსახა შეერთებულ შტატებთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების დადებასთან დაკავშირებით, მაგრამ აღნიშნა, რომ ამ ქვეყანამ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გააკეთოს ეკონომიკური რეფორმების გზაზე.**

ობამამ შეაქო ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტით მყოფი საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და აღნიშნა, რომ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების დადების „შესაძლებლობა“, რაც საქართველოსთვის უმაღლესი პრიორიტეტია, არსებობს. ობამამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები დაეხმარება ამ ქვეყანას საბაზრო სისტემის განმტკიცების საქმეში უმაღლეს დონეზე დიალოგის გამართვის გზით, მაგრამ არ უთქვამს, თუ როდის და რა პირობებში შეიძლება მოხდეს ეს.

სააკაშვილმა მადლობა გადაუხადა ობამას თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შესაძლო შეთანხმებისთვის.

„ეს ჩემს ქვეყანაში დამატებით აქტივობას მოიზიდავს“, – განაცხადა მან.

მოგვიანებით, როდესაც რეპორტიორებს ხვდებოდა, მან თქვა, რომ შეხვედრას თეთრ სახლში და ობამას სიტყვებს აქვთ უზარმაზარი სიმბოლური მნიშვნელობა მისი ქვეყნისთვის. მართალია, საქართველო ბევრ რამეში გაიმართა წელში რუსეთთან 2008 წლის ომის შემდეგ, მაგრამ იგი კვლავ იტანჯება შენარჩუნებული დაძაბულობის გამო თავის გაცილებით უფრო დიდ მეზობელთან, ამიტომ მიმართავს მხარდაჭერისთვის შეერთებულ შტატებს.

საქართველომ მიიღო ახალი საფუძვლები, ითხოვოს საპასუხო სავაჭრო უფლებები, როდესაც იგი წყნარად ამბობდა უარს რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში შესვლასთან დაკავშირებით. საქართველო დღეს ყველაზე მტრულად არის დამოკიდებული რუსეთთან იმ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შორის, რომლებიც ოდესღაც საბჭოთა კავშირს შეადგენდნენ.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში რუსეთის წევრობა გახდა ობამას ძალისხმევის ნაწილი მოსკოვთან ურთიერთობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, რაც სერიოზულად გაუარესდა საქართველოში რუსეთის შეჭრის შემდეგ ტერიტორიული დავების ფარგლებში.

სააკაშვილმა რეპორტიორებს განუცხადა, რომ რუსეთთან ობამას ადმინისტრაციის ეგრეთ წოდებული განტვირთვა ხორციელდება არა საქართველოს საზიანოდ.



„ჩვენ არა გვაქვს მიზეზი დავიჩივლოთ, და დღევანდელმა შეხვედრამაც ეს ნათლად დაადასტურა“, – თქვა მან.

სააკაშვილის სიტყვებით, მას მიაჩნია, რომ ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის ურთიერთობათა გაუმჯობესებამ შეაჩერა რუსეთი შემდგომი აგრესიისგან.

როდესაც სააკაშვილთან იჯდა ოვალურ კაბინეტში, ობამამ თქვა, რომ მათ განიხილეს უმცირესობათა უფლებების დაცვისა და კანონის უზენაესობის მნიშვნელობა. ეს იყო ცხადი მინიშნება პოლიტიკურ ძალოვანთა თამაშებზე, რომლებსაც თითქოს აწარმოებს სააკაშვილის პარტია და ამასწინანდელ ჟურნალისტთა დაპატიმრებაზე რუსეთთან შპიონაჟის ბრალდებით.

ობამამ განაცხადა, რომ დაგეგმილი დემოკრატიული არჩევნები, რომლის შემდეგადაც სააკაშვილი გადადგომას აპირებს, „განამტკიცებს ამჟამად მიმდინარე ბევრ რეფორმას“.

კრიტიკოსები ბრალს სდებენ სააკაშვილს მცდელობაში, შეიტანოს ცვლილებები კონსტიტუციაში, რათა 2013 წელს თავისი პოსტიდან წასვლის შემდეგ ჰქონდეს შესაძლებლობა განახორციელოს ქვეყნის ხელმძღვანელობა კულისებიდან, როგორც ამას რუსეთის პრემიერი ვლადიმერ პუტინი აკეთებს. სააკაშვილი ამას უარყოფს.

ობამამ გააკეთა ირიბული მინიშნება ასეთ ბრალდებებზე, თქვა, რომ „ელოდება თავისუფალ და პატიოსან არჩევნებს“ და საქართველოში „ხელისუფლების ოფიციალურ გადაცემას“.

სააკაშვილი, რომელსაც პრეზიდენტის პოსტი 2004 წლიდან უკავია, ცდილობს მიაღწიოს საქართველოს შესვლას ევროკავშირსა და ნატოში. მას დამსახურებად უთვლიან ეკონომიკური და ანტიკორუფციული რეფორმების განხორციელებას, მაგრამ ოპონენტები ბრალს სდებენ თავისუფალი პრესის მოხრჩობასა და ოპოზიციის შესაძლებლობათა შეზღუდვაში, აგრეთვე აკრიტიკებენ რუსეთთან 2008 წელს კატასტროფული ომისთვის.

ჟურნალისტებთან ხანმოკლე ბრიფინგზე შეხვედრის შემდეგ ობამას ომი არ უხსენებია, ისევე, როგორც არ უხსენებია ამ ომის მიზეზი.

თუმცა, ადრე თეთრი სახლის პრესმდივანმა ჯეი კარნიმ განაცხადა, რომ ობამა მხარს დაუჭერს საქართველოს „ტერიტორიულ მთლიანობას“ საერთაშორისო გაერთიანების მიერ აღიარებული საზღვრების ფარგლებში. მას მხედველობაში ჰქონდა დავა საქართველოს თვითგამოცხადებულ რეგიონებთან დაკავშირებით, რამაც ეს ომი გამოიწვია.

ობამამ განაცხადა, რომ სააკაშვილთან განიხილა უშიშროების საკითხები და მადლობა გადაუხადა საქართველოს ხელმძღვანელს ქართველი ჯარისკაცების ავღანეთში გაგზავნისთვის.

სააკაშვილმა აღნიშნა, რომ ობამა დაპირდა, გააქტიუროს თანამშრომლობა უშიშროების სფეროში და დაეხმაროს საქართველოს, განამტკიცოს თავისი თავდაცვითი პოტენციალი.

საქართველოს იმედი აქვს, რომ ობამა მიანიჭებს მას საგზაო რუკას ნატოში შესვლისთვის, რის წინააღმდეგაც რუსეთი გამოდის.

სააკაშვილმა გამოთქვა იმედი, რომ ჩიკაგოში ნატოს მაისის სამიტზე მიღწეული იქნება პროგრესი საქართველოს წევრობის საკითხში.

Associated Press

# აშშ და საქართველო თავისუფალი ვაჭრობის თაობაზე შეიძლება შეთანხმდნენ

**ამერიკის პრეზიდენტმა ობამამ ორშაბათს განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო იძიებენ შესაძლებლობას, დადონ შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ სავაჭრო კავშირების გაფართოების მიზნით.**

საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრაზე, რომელიც თეთრ სახლში გაიმართა, პრეზიდენტ ობამამ განაცხადა, რომ ორივე ქვეყანამ მოილაპარაკა დაიწყონ დიალოგი, რომელიც შეეხება მოქმედებათა სხვადასხვა ვარიანტს, მათ შორის, შეთანხმების დადებასაც თავისუფალი ვაჭრობის შესახებ.

„მთავარი მოსაზრება აქ არის ის, თუ რა არის ამერიკის შეერთებული შტატებისთვის და საქართველოსთვის ურთიერთხელსაყრელი, რომ განაგრძონ ძიება ამერიკული ინვესტიციების შესაძლებლობისთვის საქართველოში, ჩვენი საქონლის გაყიდვისთვის საქართველოში და ქართული საქონლისთვის ჩვენთან“, – განაცხადა პრეზიდენტმა ობამამ.

„მე პირველად არ ვიმყოფები ოვალურ კაბინეტში, მაგრამ ეს შეხვედრა იყო უკიდურესად შედეგიანი“, – განუცხადა მიხეილ სააკაშვილმა ქართველ ჟურნალისტებს თეთრ სახლში ამერიკის პრეზიდენტთან შეხვედრების შედეგებთან დაკავშირებით.

„საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ეფექტიანი და თავისუფალი ბაზრისთვის“, – თქვა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა. „ჩვენ გვსურს უმაღლესი დონის დიალოგი, გვსურს გავაფართოოთ სავაჭრო ურთიერთობანი ჩვენს ქვეყნებს შორის, თავისუფალი ვაჭრობა“, – დაუმატა მან.

ბარაკ ობამამ ასევე აღნიშნა, რომ მისი ქვეყანა აფასებს საქართველოში განხორციელებულ რეფორმებს, რომლებიც მიზნად ისახავენ დემოკრატიზაციისა და კანონის უზენაესობისადმი პატივისცემას. „ჩვენ ასევე ველოდებით, რომ საქართველოში მოეწყობა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები“, – დაუმატა მან.

ამერიკის პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა საქართველოს მისი მნიშვნელოვანი წვლილისთვის სამშვიდობო ოპერაციებში ავღანეთში. ის დაგვპირდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები კვლავაც დაუჭერს მხარს საქართველოს მისი ნატოში შესვლის გზაზე. „ჩვენ ვაფასებთ დემოკრატიისა და გამჭვირვალობის მოდელს, რომელიც საქართველომ შექმნა რეგიონში“, – განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა. მან საქართველოს „საერთაშორისო არენაზე პასუხისმგებელი მოთამაშე“ უწოდა.

მიხეილ სააკაშვილმა, თავის მხრივ, მადლობა გადაუხადა ამერიკის შეერთებულ შტატებს საქართველოს მხარდაჭერისთვის. „ეს მხარდაჭერა მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის მომავლისთვის და მთელი რეგიონის მომავლისთვის“, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

სააკაშვილთან შეხვედრის დროს ობამამ ასევე განაცხადა, რომ ამერიკა მხარს უჭერს საქართველოს მისწრაფებას ნატოსთან ინტეგრაციაში.

ორი პრეზიდენტის შეხვედრა გაიმართა მრავალი კვირის შემდეგ იმ პერიოდიდან, რაც ბარაკ ობამამ თავის სიტყვაში გაიხსენა ერის სურვილი – განავითაროს სავაჭრო თანამშრომლობა რუსეთთან.

ობამას ადმინისტრაციას განზრახული აქვს, კონგრესზე გაიტანოს წინადადება რუსეთთან მუდმივი ნორმალური სავაჭრო ურთიერთობის დამყარების შესახებ, თავიდან აიცილოს ჯეკსონ-ვენიკის შესწორების ტიპის ცივი ომისდროინდელი დაბრკოლებები.

ეს კანონი ამერიკის შეერთებულ შტატებთან ვაჭრობაში ყველაზე ხელსაყრელი ერის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით ითვალისწინებდა ებრაელებისა და საბჭოთა კავშირიდან ემიგრირებულ სხვა უმცირესობათა უფლებების დაცვას.

თუმცა, ეს შესწორება შეუთავსებელია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წესდებასთან, რომლის წევრიც წელს რუსეთი გახდება.

საპარლამენტო ინიციატივა საქართველოსთან ვაჭრობის დარგში ადმინისტრაციის მხრიდან შეამსუბუქებდა კონგრესში კანონპროექტის გასვლას ჯეკსონ-ვენიკის ცვლილებების გაუქმების შემდეგ. თუმცა თეთრი სახლის ეს ნაბიჯი შეიძლება გადააწყდეს კონგრესის წინააღმდეგობას რუსეთში ადამიანის უფლებათა დარღვევის საფრთხესთან და კრემლის პოზიციასთან დაკავშირებით ირანთან ურთიერთობაში.

BBC RUSSIAN.com

## დედამიწის ზურგზე



**მიტ რომნიმ დაიბრუნა ლიდერობა რესპუბლიკურ პრაიმერიზებში – დაეხმარა „რუსული რუკა“**

გამოკითხვის თანახმად, ფლორიდაში პოტენციური ხმების ოდენობით რომნიმ გაუსწრო თავის ძირითად მეტოქეს კონგრესის ექსსპიკერს ნიუტ გინგრიჩს – 15 პროცენტით. პრაიმერიზების წინადღით მასაჩუსეტსის ექსგუბერნატორმა გააკრიტიკა გადატვირთვა და რუსეთის ფედერაციის პრემიერს ვლადიმერ პუტინს უწოდა „ტირანი, რომელიც ოცნებობს, აღადგინოს რუსეთის იმპერია“.

* * *

**ყაზახეთის ჟანაოზენში, სადაც იყო უწესრიგობანი და დარბევები, გაუქმებულია საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი**



ჟანაოზენში შეტაკების შედეგად ცეცხლსასროლი იარაღით დაიჭრა 64 კაცი, 14 დაიღუპა, კიდევ ორი ადამიანის დაღუპვა, პროკურატურის მონაცემებით, არ იყო დაკავშირებული უწესრიგობასთან. სხეულის სხვადასხვაგვარი დაზიანება მიიღო პოლიციის 35 თანამშრომელმა. დააზიანეს და გაძარცვეს 125 ობიექტი.

* * *

**ჩიკაგოსთან ატომური ელექტროსადგურის მახლობლად გაჩერდა ბირთვული რეაქტორი**



მეორე რეაქტორს გაურკვეველი მიზეზებით შეუწყდა ენერგიის მიწოდება გარეშე წყაროდან. სადგურის ერთ-ერთი ტრანსფორმატორიდან მოდიოდა კვამლი, მაგრამ ხანძარი არ იქნა აღმოჩენილი. რეაქტორის გასაცივებლად მიიღეს გადაწყვეტილება, გამოუშვან ორთქლი სადგურის არაბირთვული ნაწილიდან.

* * *

**მაგატემ უარყო ცნობა ფუკუსიმაზე ოფისის გახსნის განზრახვის შესახებ**

როგორც აღნიშნავენ, ჟურნალისტებმა არასწორად გაიგეს და მაგატეს ხელმძღვანელის გამონათქვამის ციტირება მოახდინეს შეცდომით. საკითხი შეეხებოდა ოფისის გახსნას, რის შესახებაც გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ არის მიღებული. „იაპონიის მხრიდან შესაბამისი თხოვნა განხილული იქნება სათანადო წესით“, – ნათქვამია განცხადებაში.



# პიროვნება, მეცნიერი, აღმზრდელი

## გურამ ჩაგანავა - 70



ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის, ფსიქოლოგიის პროგრამული მიმართულების, ფსიქოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელს, სრულ პროფესორს, ბატონ **გურამ ჩაგანავას** 70 წელი შეუსრულდა. მას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ქართული ფსიქოლოგიური სკოლის განვითარებისა და მომავალი თაობის აღზრდის საქმეში.

გარემოთა ცვალებადობის მიუხედავად ბატონ გურამს არასდროს უღალატია საკუთარი მრწამსისთვის, ზნეობრივი ფასეულობებისთვის. იგი მოვლენებს მოქალაქის მიერ მოვალეობის შესრულების პრინციპების საფუძველზე აფასებს, რასაც ეფუძნება მისი ნებისმიერი ქმედება, — სამეცნიერო, საზოგადოებრივი თუ პედაგოგიური.

გურამ ჩაგანავას სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლით დაიწყო. 1956 წლის 9 მარტის მოვლენების შემდეგ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ავტორიტეტის დაცემამ, კომუნისტური მრწამსის გაუფასურებამ და საბჭოური წყობის კრიტიკამ განსაზღვრა ის, რომ იგი მოგვიანებით ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრი გახდა.

ამ პერიოდის ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორ-მასწავლებელთა უდიდესი ნაწილი (მათ შორის კომპარტიის იდეოლოგიური საგნების ლექტორებიც) თავისუფალ იდეებს ქადაგებდნენ. ბატონი გურამის პიროვნებად ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეიტანეს იური ჩხარტიშვილმა, ილია ჩულოკიმ, კოტე ბოლქვაძემ, იური სიხარულიძემ, აგია ართილაყვამ, მარია მიკულინსკაიამ, მოედინ ფარტენაძემ, ზია მამუჭაძემ და სხვებმა. მათი შეგონებანი შემდეგნაირად აღიბეჭდა მომავალი მეცნიერის გონებაში: „ნუ შეიქმნ კერპსა შენსა“, „თაყვანი ეცი მხოლოდ გონიერებას“, „მეცნიერება არის თავისუფლება“ და სხვ.

გ. ჩაგანავას დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტურაში სწავლის პერიოდში კეთილგანწყობილ მეცნიერთა და პროფესორთა (შოთა ნადირაშვილი, ალექსანდრე ფრანგიშვილი, შალვა ჩხარტიშვილი და სხვაძ წრეში უწევდა საქმიანობა, სადაც მომთხოვნელობა შეთავსებული იყო პირად ინიციატივასთან, შემსრულებლობა — პრობლემის მიმართ შემოქმედებით მიდგომასთან, ფსიქოლოგიისადმი ერთგულება — ზოგად, მრავალმხრივ განათლებასთან, პიროვნული ღირსება კი — ეროვნულ იდენტობასთან.

გურამ ჩაგანავას სპეციალიზაცია სოციალური ფსიქოლოგიის მიმართულებით განხორციელდა. მან საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები ფსიქოლოგიის ამ შედარებით ახალ მიმართულებაში დაიცვა. სოციალური ფსიქოლოგია არის განვითარებადი, საზოგადოებრივ პროცესებზე სწრაფად რეაგირებადი მეცნიერება, რომელიც საზოგადოების ნორმებს სწავლობს და ამ ნორმების დარღვევასთან დაკავშირებულ დევიციას და ფსიქოლოგიურ აშლილობებს განიხილავს.

გურამ ჩაგანავა ეგოიზმთან დაკავშირებულ პრობლემებს იკვლევს, რაც აპროპრიაციის (მიკუთვნება, საკუთრება, დაუფლებაძ ცნებასთან იყრის თავს და რომლებიც ჯერ კიდევ ამერიკელმა ფსიქოლოგმა უ. ჯეიმსმა შეისწავლა. ბატონი გურამი აპროპრიაციის ტენდენციების კვლევას დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიის საფუძველზე ახორციელებს, რომლებსაც ის, უპირველეს ყოვლისა, სოციალური ფსიქოლოგიის პრობლემებთან მიმართებაში განიხილავს. მისი კვლევა მრავალ სხვა მომიჯნავე ფსიქოლოგიურ დარგებს მოიცავს, მათ შორის პათოფსიქოლოგიასა და კლინიკურ ფსიქოლოგიას. მისი კვლევა ექსპერიმენტს ეფუძნება, რომელიც დაახლოებით შვიდი ათასამდე კვლევის ობიექტის მონაწილეობით განხორციელდა.

გურამ ჩაგანავა ცდილობს, ჯერ კიდევ შეუსწავლელ სფეროში ეძიოს და კვლევის მოდიფიცირებული და სრულიად ახალი მეთოდები გამოიყენოს. მის ექსპერიმენტში მონაწილეობენ „ნეიტრალური“ პიროვნებები, რადგან ნეიტრალურ კომუნიკატორს უფრო ნაკლებ სანდოდ მიიჩნევენ ვიდრე უცხოს. ასეთი ეფექტი კი იმით აიხსნება, რომ ნეიტრალურის პოზიცია არ არის ლეგალიზებული და მისი ინფორმაციის სანდოდ მიჩნევა შეიძლება სახიფათო აღმოჩნდეს ადამიანისათვის.

ანალოგიურ კონტექსტში ექსპერიმენტულად შესწავლილია მასწავლებელთა მიერ ნიშნის დაწერის ობიექტურობისა თუ სუბიექტურობის ტენდენციები, სტატუსურად განსხვავებულ ადამიანთა შორის სიმპათიის, სიახლოვე-დაშორებულობის, გულგრილობისა და სხვა ურთიერთდამოკიდებულების პარამეტრები. სპეციალურად შესწავლილია პირველქმნილი ცოდვის პრობლემა, რადგან ზუსტად ამ ცნების თავისებურმა გაგებამ ზ. ფროიდს საშუალება მისცა ე.წ. ოიდიპოსის კომპლექსის ცნება ჩამოეყალიბებინა. ეს ცნება ინტენსიურად გამოიყენება ფსიქოპათოლოგიაში, თუმცა ის ხშირად ვერ იძლევა მეცნიერულად სანდო და დამაჯერებელ შედეგს. გურამ ჩაგანავამ საფუძლიანად შეისწავლა ვაჟა ფშაველას „გველისმჭამელი“ და მივიდა დასკვნამდე, რომ მინდიას მიერ გადატანილი განსაცდელი სულაც არ არის ოიდიპოს მეფის მიერ გადატანილ განსაცდელზე უფრო ნაკლები და შესაძლებელია, რომ ასეთი განსაცდელი ადამიანის ფსიქიკაში მუდმივად შენარჩუნებულ ფსიქოლოგიურ კომპლექსზე მიუთითებდეს, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ამა თუ იმ ფსიქოლოგიური აშლილობის ასახსნელად. ყურადღებას იქცევს გურამ ჩაგანავას მიერ აგრეთვე ისეთი ფსიქოთერაპიულად მნიშვნელოვანი ცნების შესწავლა, როგორიც არის „კათარსისი“. შესწავლილია აგრეთვე შეჯიბრებისა და თანამშრომლობის ფსიქოლოგიის მთელი რიგი პრობლემები.

გურამ ჩაგანავა ამტკიცებს, რომ არსებობს სამი ძირითადი ზოგადბიოფსიქიკური განწყობა. პირველი ეს არის აქტიური-აპროპრიაციული ტენდენცია, რომელიც უზრუნველყოფს არსებობისათვის რესურსების მოპოვებას, გარემოსთან შეგუებას. ცხოველთა სამყაროში ეს ტენდენცია შეთავსებულია ცხოველთა არსებობის შენარჩუნებასთან, რაც მთელ რიგ ბიოლოგიურად აუცილებელი კონსტრუქტების (განწყობებისძ ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. მეორე — აქტიურ-განრიდებითი განწყობა, რომელიც მოქმედებას იწყებს განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის პირობებში და მესამე - დიზაქტიურობის განწყობა, რომელიც ან აქტიურ-აპროპრიაციული ქცევის დროებით შეწყვეტასთან არის დაკავშირებული (დასვენებაძ ან კიდევ აქტიურ-განრიდებითი აქტივობის შესაძლებლობების ამოწურვის შემთხვევებში ანაბიოზის (მარტივი ორგანიზმების შემთხვევაშიძ მდგომარეობაში გადასვლას იწვევს.

გ. ჩაგანავას ჰიპოთეზის თანახმად ბიოლოგიური ორგანიზმის გარემოსთან შეგუების აუცილებლობიდან გამომდინარე, ადამიანურ არსებად გარდაქმნის ენერგია, არ შეიძლება არსებობდეს საკუთრივ ბიოლოგიური განწყობების სტრუქტურაში და ამიტომ ბიოლოგიური საწყისების ადამიანურ ფსიქიკაზე ტრანსფორმაციის დროს გამოიყენება ზოგადბიოფსიქიკური განწყობები, რომელიც ხელს უწყობს გარემოსთან ბიოლოგიური შეგუების საშუალებების (ე.ი. ინსტინქტებისძ უკუგდებასა და გარემოსთან ადამიანური შეგუების საშუალებების (ადამიანური ფსიქიკა, ცნობიერება, იარაღი, ინსტინქტი, სოციალური ორგანიზაციაძ განვითარებას. იმ შემთხვევაში, როდესაც ფიზიკური, სომატური, სოციალური, ფსიქიკური პრობლემების დაძლევა ძალიან რთულდება, მაშინ მოქმედებას იწყებს ზოგადბიოფსიქიკური ტენდენციები, რომლებიც ზოგჯერ ხელს უწყობენ კვაზი-სოციალური, კვაზი-ბიოლოგიური, თუ კვაზი-ფსიქიკური (ადამიანის დონისძ მდგომარეობების წარმოქმნას, რაც სოციალური გართულების სომატური თუ ფსიქიკური აშლილობის განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს.

აღსანიშნავია, რომ ზოგაბიოფსიქიკური განწყობის, ტენდენციის ცნებას გურამ ჩაგანავა იყენებს ზ. ფროიდის ე.წ. ინსტინქტების მსგავსად, ოღონდ მისი თვალსაზრისით, ზოგ შემთხვევაში ფსიქიკის განვითარებისა თუ ფსიქიკის აშლილობების ინტერპრეტაციისას ზოგადბიოფსიქიკური განწყობის ცნების გამოყენება უფრო მართებულად ჩანს. ამ მიმართულებით კვლევა ჯერ არ დასრულებულა.

განვითარების ფსიქოლოგიაში ტრადიციულად გამოყოფენ ნეგატივიზმის ორ პერიოდს (სკოლამდელ და მოზარდობის ასაკშიძ. გ. ჩაგანავა კვლევის საფუძველზე დაასკვნის, რომ არსებობს ნეგატივიზმის ათი პერიოდი. ასეთი პერიოდიზაცია ეფუძნება ადამიანის ფსიქობიოლოგიური და ფსიქოსოციალური განვითარების ტენდენციას, რომელიც წინა პერიოდის დაძლევას და ახალ პერიოდზე გადასვლისას ახალი თვისებების ჩამოყალიბებას ითვალისწინებს. გ. ჩაგანავა ბავშვის განვითარების კვლევისა და წყაროების შესწავლის საფუძველზე მივიდა დასკვნამდე, რომ ნებისყოფას მეოთხე პერიოდი ახასიათებს, რომელზეც არაპირდაპირ მიუთითებს დ. უზნაძე. ეს არის ადამიანის იმგვარი აქტიურობა, როდესაც ადამიანს საკუთარი თავის მიმართ იძულების განცდა აღარ აქვს და მისი ქცევა გარეგნულად სპონტანურ ქცევას ემსგავსება. ასეთ ვარაუდს მხარს უჭერს ფსიქოლოგიაში არსებული ე.წ. ნებისყოფისშემდგომი ყურადღების აქტიურობის ჰიპოთეზაც. გ. ჩაგანავა ორიგინალურად განიხილავს აგრეთვე 3-4 წლის ასაკის ბავშვისა და მოზარდობის პერიოდის ნეგატივიზმს. სკოლამდელის ნეგატივიზმი გარეგნულად მართლაც ნებისყოფის სისუსტის მაჩვენებელია, რადგან ბავშვი ამ დროს უგუნურ ქცევას მიმართავს, მაგრამ, იმის გამო, რომ ბავშვი საკუთარი ქცევის წარმართვაში მშობლის ავტორიტეტს უპირისპირდება, საქმე უთუოდ ნებისყოფისმაგვარ ქცევასთან გვაქვს, რაც უარყოფითი მოვლენა სულაც არ არის ბავშვის დამოუკიდებელ პიროვნებად ჩამოყალიბებისას. თითქმის ანალოგიურად შეიძლება ვიმსჯელოთ მოზარდობის პერიოდის ნეგატივიზმზე.

ბოლო წლებში გ. ჩაგანავამ დაიწყო ფროიდის მიერ შემოთავაზებული ფსიქიკური რეგრესის ფაზების შესწავლა. ამჟამად უკვე შესწავლილია ე.წ. ორალური სტადიის ფსიქოგენეტიკა, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს ამ სტადიის შესახებ ზოგიერთ ფროიდისეულ შეხედულებას, ზოგ შემთხვევაში კი გ. ჩაგანავა ახლებურად განმარტავს ფროიდის მიერ შენიშნულ მოვლენებს, რომლებმაც შემდგომში მის მოძღვრებაში განვითარება ვერ ჰპოვეს.

დ. უზნაძის მიხედვით აქტივობის ძირითად პირობებად, ანუ ფაქტორებად მიჩნეულია მოთხოვნილება და მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი სიტუაცია. აკადემიკოსი შოთა ნადირაშვილი ამ ორ ფაქტორს უმატებს ე.წ. ოპერატიულ შესაძლებლობებს, რაც განწყობისეული ქცევის განხორციელებაში აუცილებელია. გურამ ჩაგანავა საკუთარ გამოკვლევებში ამტკიცებს, რომ ამ სამ ფაქტორს მეოთხე ფაქტორი უნდა დაემატოს. ეს არის საქმიანობის ათვისებულობაში დარწმუნებულობის განცდა, რაც ქცევის პიროვნებისადმი კუთვნილების განცდას ნიშნავს და რომლის გარეშე ასეთი ქცევა ადამიანის მიერ „უცხოდ“ აღიქმება და ამიტომ ვერც შესრულდება. აქ შესაძლებელია ვილაპარაკოთ განწყობის აფექტურ მახასიათებელზე, რაც მას ატიტუდთან აკავშირებს. ასეთი მდგომარეობა შესაძლებლობას აძლევს გ. ჩაგანავას, ერთმანეთს დაუკავშიროს დ. უზნაძის განწყობის თეორია და დასავლეთის სოციალურ ფსიქოლოგიაში ე.წ. ატიტუდის ანუ სოციალური განწყობის თეორია. გ. ჩაგანავას გამოკვლევით დამტკიცდა, რომ განწყობის ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიაში გამოყენებული ექსპერიმენტული მასალა, არა უბრალოდ ფიზიკური ობიექტია, არამედ სოციალურ - ფსიქოლოგიური მახასიათებლების მატარებელი კონსტრუქტი, რაც განაპირობებს მის სოციალურ- ფსიქოლოგიურ მნიშვნელობას. ამგვარად შეიძლება ვამტკიცოთ, რომ დ. უზნაძის მიხედვით განწყობის მთლიანი პიროვნული მახასიათებლები აუცილებლად მოიცავენ სოციალურ მახასიათებლებს, მაგრამ თუ ჩვენ განწყობას მხოლოდ როგორც „ფსიქოფიზიოლოგიურ ერთობას“ განვიხილავთ, მაშინ გაწყობის უზნაძისეული გაგებისა და ატიტუდის (სოციალური განწყობისძ ურთიერთდაკავშირება გართულდება.

გ. ჩაგანავას მიაჩნია, რომ მის მიერ შემოთავაზებული განწყობის ეს სტრუქტურა შესაბამისი ცვლილებების საფუძველზე (კვლევა ამ მიმართულებით მიმდინარეობსძ შესაძლებლობას იძლევა გაერთიანდეს დ. უზნაძის მიერ ჩამოყალიბებული განწყობისა და სოციალური განწყობის სტრუქტურების ცნებები.

მნიშვნელოვანია აგრეთვე ისიც, რომ განწყობის უზნაძისეულ თეორიაში არსად არის მითითებული განწყობის ფაქტორების განსხვავებული ღირებულების შესახებ, გ. ჩაგანავას მიერ შემოთავაზებულ განწყობის სტრუქტურაში ყველა მისი პარამეტრი განსხვავებული ღირებულებისაა. ამიტომ ის ასაბუთებს, რომ უზნაძისეულ განწყობის სტრუქტურაში ზოგ შემთხვევაში შესაძლებელია ქცევის განხორციელებაში მოთხოვნილებას ჰქონდეს უფრო დიდი ღირებულება და ზოგ შემთხვევაში კი მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელ სიტუაციას. ასეთი დასკვნის გაკეთება სავსებით შესაძლებელია აგრეთვე, თუ ჩვენ დ. უზნაძის მსჯელობის ლოგიკას გავაგრძელებთ განწყობის ფაქტორების შესახებ.

განწყობის ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად ითვლება განწყობისეული მოქმედების კონტრასტული ილუზიის ფაზა, რომლის ინტერპრეტაციის ოთხ ახალ ვერსიას (ღირებულებითი, საკუთრებითი, სიახლოვე-დაშორებულობისა და ტემპორალურიძ სთავაზობს გ. ჩაგანავა და რომლებიც ითვალისწინებენ არა მხოლოდ მთლიან პიროვნულ მზაობას ამა თუ იმ მოქმედების შესასრულებლად, არამედ აგრეთვე სოციალურ — ფსიქოლოგიური პარამეტრების ასახვას ისეთ ფსიქიკურ მოვლენაში, როგორიცაა კონტრასტული ილუზია.

გ. ჩაგანავას წამოყენებული აქვს რამდენიმე მნიშვნელოვანი ჰიპოთეზა სხვადასხვა ფსიქიკურ სნეულებათა წარმოშობის თაობაზე. მას მიაჩნია, რომ ადამიანის ფსიქიკა დაბადებიდან თითქმის სამი წლის ასაკამდე როდესაც ყველაფერი, რაც კი ფიზიკურ სამყაროში ხდება, აისახება ბავშვის ფსიქიკაში, გარკვეულ დახშულობას ავლენს. ამ პერიოდში ბავშვის მიერ განცდილი ტრამვა ფსიქიკურად აზიანებს მას და ექმნება ფობიების, ისტერიის, აკვიატებული განცდების ჩამოყალიბების წინაპირობები. დაახლოებით სამი წლიდან თერთმეტ წლამდე პერიოდში ბავშვს უკვე დიფერენცირებული აქვს თავისი ფსიქიკური „მე“ სომატური „მე“-სგან. ამ შემთხვევაში მატრამვირებელი სიტუაციის პირობებში ფსიქიკური „მე“ საკმაოდ კარგად ჩამოყალიბებულობის გამო იცილებს დარტყმას და ის სომატურ „მე“-ზე მოდის, რომელიც მისი ახლად ჩამოყალიბებულობისა და სისუსტის გამო მოწყვლადია ასეთი ზემოქმედებისათვის, რაც კიდევაც ქმნის ფსიქოსომატური აშლილობების წინაპირობას. მოზრდილობის პერიოდში ფსიქოლოგიური ტრამვა ძალიან მძიმე მდგომარეობაში აყენებს მოზარდს. მას უყვარს მშობლები, პატივს სცემს მათ, ხოლო მათი, საზოგადოების ან ჯგუფის მხრიდან ზოგჯერ მისი ღირსების უგულებელყოფა დამამცირებლად მოქმედებს მის პიროვნებაზე. მოზარდისთვის მნიშვნელოვანი ადამიანისადმი წინააღმდეგობის გაწევის ტენდენცია ბლოკირდება, რაც დეპრესიის, ანუ სხვების მიმართ აგრესიულობის საფუძველი ხდება. საყურადღებოა, რომ გ. ჩაგანავას ჰიპოთეზით ისეთი მძიმე სნეულება, როგორც არის შიზოიდური ციკლის სნეულებები, უკავშირდება ფსიქიკური განვითარების თავისებურებებს, სახელდობრ ინტელექტუალური განვითარების თავისებურებებს, როდესაც საზოგადოებასთან დაპირისპირებაში საკუთარი თავის განმტკიცების მიზნით პიროვნება უკუაგდებს სოციალურ შეზღუდვებს და ფსიქიკური ენერგიის წყარო უკიდურესი ეგოიზმი ხდება, რომლისთვის სოციალური ღირებულებები შეუთავსებელია და ამიტომ მაგალითად, შიზოფრენიით დაავადებულის ფსიქიკაში აშკარად ჩანს პრიმიტივიზმის ტენდენციები, რომლებიც მას ათავისუფლებენ სოციალური შეზღუდვებისაგან მეტყველებაში, აზროვნებაში, ქცევასა და წარმოსახვაში. ამგვარად ადგილი აქვს საკუთარ ინტელექტუალურ უპირატესობაში დარწმუნებას, რაც სინამდვილეში შინაგანი ფსიქიკური პრიმიტივიზაციისა და ინტელექტუალური უკუსვლის მაჩვენებელი ხდება. სხვა სიტყვებით, გ. ჩაგანავას მიაჩნია, რომ ფსიქიკის განვითარების დასრულების შემდეგ შიზოფრენია არის მისი შემდგომი განვითარების მცდელობა, რაც სინამდვილეში რეგრესს იწვევს და არა განვითარებას.

ასეთია მოკლედ გურამ ჩაგანავას სამეცნიერო მოღვაწეობის შედეგები, რომლებიც თავს იყრიან მის მიერ გამოქვეყნებულ 100-ზე მეტ სტატიაში და ოთხ მონოგრაფიაში: „განწყობის ფსიქოლოგიის აქტუალური პრობლემები“; „ისტორიული და სოციალური ფსიქოლოგიის აქტუალური პრობლემები“; „აპროპრიაციის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები“; „შიშის ფსიქოლოგია“. გ.ჩაგანავას სამეცნიერო მოღვაწეობაში რამდენიმე სტატია ეძღვნება ენათმეცნიერებისა და ისტორიის საინტერესო პრობლემატიკას. ამჟამად იგი გამოსაცემად ამზადებს სოციალური ფსიქოლოგიისა და კლინიკური ფსიქოლოგიის სალექციო კურსებს, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი დაეფუძნება მისივე ექსპერიმენტულ და პრაქტიკულ გამოკვლევებს.

ბატონო გურამ, გამოვხატავთ რა ულრმეს პატივისცემას, კიდევ ერთხელ ვადასტურებთ თქვენს ღვაწლს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფსიქოლოგიური სკოლის განვითარების საქმეში. თქვენი უნივერსიტეტში მოღვაწეობა ჩვენთვის პატივი და ერთგვარი პრესტიჟია. სწორედ თქვენი დამსახურებაა, რომ ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამამ წარმატებით გაიარა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ეტაპები, იგი იქცა ერთ-ერთ მოთხოვნად სპეციალობად და ყოველწლიურად მაღალი კონკურენციის პირობებში კომპლექტდება. გისურვებთ წარმატებულ, ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას, ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, ოჯახურ ბედნიერებას.

**ბათუმის
შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი**

ჰოკეი

# „ყინულის რაინდებმა“ ერზრუმში ლიგა მოსინჯეს



**ყინულის ჰოკეის საქართველოში ნახევარი საუკუნის ისტორია აქვს. ზუსტად ორმოცდაათი წლის წინათ – 1962 წლის თებერვალში მოსინჯეს ძალები ქართველმა ჰოკეისტებმა ჯერ საკავშირო პირველობაზე, შემდეგ კი საბჭოთა კავშირის ხალხთა ზამთრის მეორე სპარტაკიადაზე, სადაც ორი მატჩი მოიგეს – სომხეთთან და ყირგიზეთთან.**

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ქართული ჰოკეის ერთ-ერთმა პიონერმა – ნოდარ დონაძემ გასული საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო უწინდელი ტრადიციის აღორძინება და ჩამოაყალიბა ჰოკეის გუნდი „პირველი მერცხალი“, რომელიც წლების განმავლობაში „ოქროს შაიბის“ საკავშირო ტურნირებში მონაწილეობდა. ამ თაობის სპორტსმენებს შორის გამოირჩა კოტე ბახუტაშვილი, რომელიც ერთი ხანობა სახელოვანი ცსკა-ს კარსაც იცავდა და 1988 წელს საკავშირო ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში ევროპის პირველობის ბრინჯაოს მედალიც მოიპოვა.

ოცდამეერთე საუკუნის გარიჟრაჟზე დენის დავიდოვისა და ლაშა ცაგარეიშვილის ინიციატივით, ქართულ ჰოკეიში მესამე თაობა მოვიდა. სამწუხაროდ, დენისი და ლაშა ორი წლის წინათ ავტოკატასტროფაში დაიღუპნენ. მათი იდეის ფრთაშესხმა საქართველოს ყინულის ფედერაციამ განაგრძო გენერალური მდივნის ალექსანდრე ვაშაკიძის ხელმძღვანელობით. საქართველოს, თურქეთისა და სომხეთის ფედერაციების ერთობლივი შეთანხმებით შავი ზღვის ლიგის გათამაშებას ჩაეყარა საფუძველი. პირველი ეტაპი გასულ უქმეებზე ერზრუმში გაიმართა. ამჯერად იქ ჩასვლა სომხებმა ვერ შეძლეს, ამიტომ მასპინძლები და ჩვენი ჰოკეისტები სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს ჰოკეის ჩინებულ სასახლეში, რომელიც ორი წლის წინათ აუშენებიათ. პირველ შეხვედრაში ერზრუმელებმა სამი ლეგიონერი (ერთი სლოვაკი და ორი პოლონელი) გამოიყვანეს. არადა, მასპინძელთა ამერიკელ მთავარ მწვრთნელ კეიტ მაკადამსთან სიტყვიერი შეთანხმებით, ჩვენების წინააღმდეგ უცხოელები არ უნდა გამოეყვანათ. ის პაექრობა „ყინულის რაინდებმა“ (ასე ჰქვია საქართველოს გუნდს, რომლის შემადგენლობაში თბილისელი და ბაკურიანელი ჰოკეისტები თამაშობენ) 4:10 წააგეს. მეორე მატჩი ქართველებმა (კახა ამბროლავა, გოჩა ჯეირანაშვილი, გია ოგანეზიანი, ამირან გეფერიძე, ვახტანგ გოგიჩაშვილი, გიორგი ჯეირანაშვილი, გენადი კოსიცკი, პაატა კავკასიძე, მიხეილ დავითაშვილი, გიორგი გიგაური, მიხეილ ვედიაპინი, ბადრი ხორბალაძე, ანდრო თევზაძე, ანდრო შენგელია, მთავარი მწვრთნელი ირაკლი ნატროშვილი) უკეთ ითამაშეს, ანგარიშიც გახსნეს პირველ პერიოდში (გოგიჩაშვილი), მაგრამ მეორე პერიოდში ორი გოლი გაუშვეს და საფეხბურთო ანგარიშით (1:2) დამარცხდნენ. მესამე შეხვედრაც მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით დამთავრდა – 9:6.



– შარშან მაისიდან ბიჭებს ყინულის მოედანი თვალითაც არ ენახათ – კომბინაციებსა და კარში დარტყმებს პლასტიკატის სიმულატორზე ამუშავებდნენ. ამგვარად მომზადებულ ქართველებს ყინულის ჰოკეის ჩინებულ სასახლეში ნავარჯიშევი და შეთამაშებული მასპინძლები დახვდნენ. ყოველივეს მიუხედავად, უკმაყოფილო არა ვართ. მჯერა, რომ მომდევნო ეტაპებზე „ყინულის რაინდები“ უკეთ ითამაშებს, – გვითხრა ირაკლი ნატროშვილმა.

ერზრუმში საქართველოს 14-წლამდელთა გუნდიც იყო ჩასული 11(!) ჰოკეისტის შემადგენლობით. ამის მიუხედავად, ჩვენებურებმა უფროსებზე უკეთ ითამაშეს: დაამარცხეს სტამბოლელი თანატოლები (1:0), ფრედ დაამთავრეს შეხვედრა ქოჯაელელებთან (3:3), ხოლო მასპინძლებთან მატჩი დათმეს (2:7).

შავი ზღვის ლიგის მეორე ეტაპი მარტის მიწურულს ისევ ერზრუმში გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

**სურათებზე:** თამაშის მომენტი; სტუმარ-მასპინძლები ტურნირის შემდეგ.

ავტორის ფოტო.

ოლიმპიურ ტალღაზე

# ცხვრის პარსვა, ცხენით სიმაღლეზე ხტომა, ბასკური პელოტა...

**ოლიმპიურ თამაშებში რევოლუციის მომასწავებელი ცნობა ცოტა ხნის წინათ ახალი ზელანდიიდან მოვიდა. საქმე ისაა, რომ ადგილობრივ ფერმერთა ფედერაციამ ოლიმპიურ პროგრამაში... ცხვრის სპორტული პარსვის ჩართვასთან დაკავშირებით სათანადო განაცხადის შეტანის თაობაზე თავისი მზადყოფნის შესახებ განაცხადა. ფედერაციის თავმჯდომარის ჯანეტ მაქსველის თქმით, მათ საამისოდ ძალიან სერიოზული არგუმენტები აქვთ.**

– უწინარესად, ჩვენ ცხვრის პარსვაში ბოლო დროს დამყარებული არაჩვეულებრივი რეკორდები გვაძლევს სტიმულს, რომლებიც აივენ სკოტმა და კერი ჯო ტე-ხუამ დაამყარეს, – განაცხადა ჯანეტ მაქსველმა. – პირველმა მათგანმა 8 საათში 749 ბატკანი გაპარსა, ქალთა შორის ჩემპიონმა კერი ჯო ტეხუამ კი იმავე დროში 507 ბატკანს „გახადა „ოქროს საწმისი“!

ამასთან დაკავშირებით სპორტული ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ ცხვრის სპორტული პარსვა არაფრით ჩამოუვარდება **ბოულინგს ან სპორტულ ცეკვებს,** რომლებიც კარგა ხანია „ხმამაღლა აკაკუნებენ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის კარზე“, ოღონდ ეგ არის, რომ სპორტის ამ „სახეობას“ გავრცელების მეტად შეზღუდული გეოგრაფია აქვს, რომელიც ახალი ზელანდიით, ავსტრალიითა და ირლანდიით შემოისაზღვრება, სადაც მსოფლიო ჩემპიონატები 1977 წლიდან მოყოლებული რეგულარულად ტარდება. არადა, სოკ-ის მესვეურთ მიაჩნიათ, რომ **ზაფხულის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეიძლება შეიტანონ სპორტის მხოლოდ ის სახეობები, რომლე-**



**ბიც მამაკაცთა შორის ოთხი კონტინენტის არანაკლებ 75 ქვეყანაში, ხოლო ქალთა შორის – სამი კონტინენტის არანაკლებ 40 ქვეყანაშია გავრცელებული.**

სპორტის „ახალბედა სახეობების“ ყველაზე დიდი პრობლემა მაინც ოლიმპიური პროგრამის უკიდურესი გადატვირთვაა, რაც განსაკუთრებით ზაფხულის თამაშებს ეხება. მაგალითად, **წლეულს ლონდონში მედლების 302 კომპლექტი სპორტის 31 სახეობაში გათამაშდება. სოკ-ის პრეზიდენტი ჟაკ როგე კი მათი რიცხვის 28-მდე შემცირებას ითხოვს, სადაც მედლების არაუმეტეს 301 კომპლექტისა გათამაშდება, თანაც ათლეტთა რიცხვი 10,5 ათას კაცს არ უნდა აღემატებოდეს.** 2005 წელს სოკ-ის 117-ე სესიაზე ოლიმპიური პროგრამიდან **ბეისბოლი** და მისი ნაირსახეობა **სოფტბოლი** ამოიღეს და ამ ორი ადგილის დაკავებას დღემდე უშედეგოდ ცდილობენ **შვიდკაცა რაგბი, გოლფი, კარატე, სკვოში და როლერსპორტი**. ამდენად, კორექტირება მხოლოდ 2016 წლის ოლიმპიური თამაშებისთვისაა შესაძლებელი, რომლებიც რიო-დე-ჟანეიროში ჩატარდება, ბრაზილიელები კი უეჭველად **პლაჟის ფეხბურთს** გაუწევენ ლობირებას.

**ცნობისთვის:** ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეტანის პრეტენდენტებს შორის არიან **ცხვრის პარსვა, დარტსი, ჟოკთან ქალთა ცეკვები, ბურთიანი ჰოკეი, კარატე, პაუერლიფტინგი, ჭადრაკი, ბილიარდი, ბოულინგი და როლერსპორტი.**

თავის დროზე ოლიმპიურ სახეობებს წარმოადგენდნენ, მაგრამ სხვადასხვა დროს ჩამონათვალიდან „ამოვარდნენ“ **თოკის გადაქაჩვა, ძაღლის მარხილებით რბოლა, თოკზე ცოცვა, წყალქვეშა ცურვა, ცხენით სიმაღლეზე ხტომა, ბასკური პელოტა, მტრედებისთვის სროლა, დაბრკოლებებით ცურვა, ხელოვნებათა კონკურსი და ზამთრის პენტატლონი.**

**ირმა ირემაშვილი**

კალათბურთი

# როცა ქალა ალმართს ხნავს

**სად შეიძლება ნახო ერთად თავდაცვის მინისტრი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი და იმერეთის გუბერნატორი თავიანთი დამამშვენებელი ამალების თანხლებით?**

ვისაც ეს კითხვა დაებადება, ვუპასუხებთ: თბილისის სპორტის სასახლეში, სადაც სუპერლიგის მოქმედმა ჩემპიონმა და საკანდელიძე-ქორქიას მემორიალის გამარჯვებულმა „არმიამ“ და დუდუ დადიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირის მთავარი პრიზის მფლობელმა „ქუთაისმა“ საქართველოს ეროვნული თასის საიუბილეო X გათამაშების ფინალური მატჩი გამართეს.




ამ წყვილში აუტსაიდერებად მიჩნეული სტუმრები ერთადერთხელ დაწინაურდნენ მათიაშვილისა (9 ქულა) და ცეკვავას (13 ქულა) სამქულიანებით – 10:6, მაგრამ კაცს ენა არ მოუბრუნდება მათ გასაკრიტიკებლად.

დავით უსტიაშვილის გუნდი მაშინაც კი არ გატყდა, როცა ვუდსაიდის (22 ქულა), თომასისა (20 ქულა) და შელზომის (14 ქულა) ძალისხმევით ფავორიტი სოლიდური სხვაობით გაიჭრა წინ – 41:21. პირიქით, ასეთმა ნოკდაუნმა რიონისპირელებზე დადებითად იმოქმედა და თავმოყვარეობაშელახულებს ბრძოლის ჟინი გაუღვივა. ამას მასპინძელთა თავკაცის კოტე ტულუშის გადაწყვეტილებამაც შეუწყო ხელი, რომელმაც საქმე მოთავებულად ჩათვალა და ძალოვანთა ლიდერებს დასვენების საშუალება მისცა.

ასეა თუ ისე, მრისხანე იარაღის – ზუსტი შორეული ტყორცნების შემწეობით ძმებმა ბარბაქაძეებმა (გიგი – 24 ქულა, დავითი – 13 ქულა) ბოლო წუთზე მეტოქის ჰანდიკაპიდან თითქმის არაფერი დატოვეს – 80:84 და შეხვედრას ინტრიგა დაუბრუნეს.

მაშინ, როცა ყველას ეგონა, რომ სტუმრები სწრაფ ტაქტიკურ ჯარიმას მიიღებდნენ და ისედაც მცირე დროში ხსნის მიზერული შანსის გამოყენებას შეეცდებოდნენ, მათ რატომღაც ბოლომდე აცალეს „არმიას“ კომბინაციის გათამაშება და თომასმა პარტნიორთა ზედიზედ მეორე სათასო ტრიუმფს საბოლოო წერტილი დაუსვა – 86:80.

ინტერნეტიდან

## მილიონ ნახევარზე მეტი გულშემატკივარი

**როგორც უეფაში – ევროპის ფეხბურთის ასოციაციათა კავშირში აცხადებენ, 2012 წლის ევროპის ჩემპიონატზე მოელიან მილიონ ნახევარზე მეტ გულშემატკივარს – ალბათ ფეხბურთის ამდენი მოყვარული ჩავა უკრაინასა და პოლონეთში.**

ეს დაეხმარება ამ ორი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას. მთავარი ისაა, რომ ევროპული ფეხბურთის ეს დღესასწაული უკრაინასა და პოლონეთს სახელს გაუთქვამს მთელ მსოფლიოში. ის ხელს შეუწყობს ტურისტების მიზიდვის ხანგრძლივ პერსპექტივას. თანაც ამ ქვეყნებში „ევროპის 2012“ ეგიდით შექმნის ათეულ ათასობით სამუშაო ადგილს.

## ქალებმა გაიბრწყინეს



**კალგარში დამთავრებულ მსოფლიო ჩემპიონატზე ციგურებით სპრინტერულ მრავალჭიდში ორი დღის ასპარეზობებზე დამყარდა ოთხი მსოფლიო რეკორდი. ფანტასტური შედეგებით განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ქალებმა.**

დიდი ბრძოლა გაიმართა 26 წლის კანადელ კრისტინ ნესბიტისა და მისი თანატოლის, ჩინელ ცზინ იუს შორის.

თუ წინა დღეს კანადელმა 1000 მეტრზე გაარღვია 1.13-წუთიანი ზღვარი და აჩვენა 1.12.68, მეორე დღეს ჩინელმა 500 მეტრი დაძლია 36,94 წამში. კილომეტრზე დასკვნით სირბილში ცზინ იუმ დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი – 148,610. ადრინდელი რეკორდი – 149.305 გერმანელმა მონიკა გარბრეხტმა 2003 წელს დაამყარა, შემდეგ კი 2006 წელს ის გაიმეორა კანადელმა სინდი კლარსენმა.

კაცებში 4 დისტანციაზე სირბილის ჯამით მსოფლიო რეკორდი დაამყარა ჰოლანდიელმა სტეფანე გროტხეისმა – 136,810.

## შარაპოვა თხოვდება



**დიახ, გათხოვებას აპირებს ჩოგბურთის ლამაზმანი მარია შარაპოვა. მისი რჩეულია თურქული „ეფეს პილსენის“ კალათბურთელი საშა ვუჩიჩი.**

წყვილი უკვე ერთი წელია, ერთადაა, ახლა კი გადაწყვიტეს თავიანთი ურთიერთობის დაკანონება. ქორწილის ზუსტ თარიღს შარაპოვა გვიან დაასახელებს. როგორც ჩანს, სპორტსმენს სასიხარულოდ არ სცალია. ორი კვირაა, ის მთლიანად გადართული იყო ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე. საქმროს კი ბევრი თავისუფალი დრო აქვს, რათა თავიანთ ურთიერთობაზე ილაპარაკოს.

## ჯანდაცვა

# მედაპარატურა ჩამოტარებით



**შალიკაანთ გოგია, რომელიც გუშინ რაიონული საავადმყოფოს საზეიმო გახსნაში მონაწილეობდა, დღეს დილით მამალივით გაფხორილი ემასლაათებოდა მეზობლებს.**

— შეხვდი, ძველო, მაღალოს, — ირონიულად ეღიმება ვასიკოს, — აქამდე ჭირდა, თორემ ამის შემდეგ ნამდვილად გვეშველება.

— მიდი, საქმეს მიხედე, — შეუღრინა გოგიამ, — რატო ღმერთი არ გაიცინებს, ამსიმაღლე პრეზიდენტი შენი სამასხარაო რო გახდა.

— მართლა ასე მაგარია ეგ შენი პრეზიდენტი, თუ უგონებენ? — იღრიჭება ქუმლიგუდაანთ ჯუმბერა.

— მაგარი რომელია, ჯო, მაგ შობელძაღლმა (კახურად მიეფერა გოგიძ გუშინ იგრე ლამაზად დახატა ჩვენი უბადრუკი ყოფა, რომა თავი სალხინეთში მეგონა.

— და იყო ტაშის გრიალი, არა?

— აბა რა მექნა, ჯო, ხელები თავისით მიმირბოდნენ და არ დამეკრა?

— და შენც უტყაპუნე, არა? — განაწყენდა ჯუმბერა, — ერთი ეგ მითხარი, მაგ ქლესაობისთვინ ჯიბეში რამდენი ჩაგიცურეს?

— არც არაფერი, ძმაო, აი ნახეთ (ჯიბეებს იფერთხავსძ, ეგ იმათ უხდიან ფულს, ტაშის საკვრელად თბილისიდან ყვითელი ავტობუსებით რო დაყავთ.

— არ თქვა ახლა, ტყუილიდ გავცდიო, — შეეჭვდა ვასიკო, — ხელი მაინც არ ჩამოართვი იმ ჩვენს მაღალოს?

— ვინ მიმიშვა, თორემ კი. ბევრი ვიჯიკავე, მაგრამ დაცვამ საააკაშვილის სიახლოვესაც არ გამაკარა.

— არ ვარგიხარ და იმიტომ, — დაადანაშაულა ჯუმბერამ, — თორემ ბებერმა დედაკაცებმა როგორ უნდა გაჯობონ?

— რომელმა დედაკაცებმა.

— აი იმათ, პრეზიდენტს კისერზე რომ ეკონწიალებოდნენ და ტუჩებში ჰკოცნიდნენ.

— შენ მაგათ რა უყურებ, ჯო, პრეზიდენტთან შესახვედრად სპეციალურად ამზადებენ.

— რა მიზნით ამზადებენ?

— მოსახლეობამ ტელევიზორით რო ნახოს, მიშა ხალხს როგორ უყვარს.

— მერედა რაღა უკბილო დედაკაცებს არჩევენ?

— ეშინიათ, ჯო, ეშინიათ, — იღრიჭება ვირიპარია.

— რისა ეშინიათ? — ინტერესდება ჯუმბერა.

— კოცნის მომენტში პრეზიდენტი რომ არ დაგვიკბინონ.

— თქვენ ხუმრობთ, — საქმეში ერევა გოგია, — მაგრამ ნაცები ამას შეიძლება არჩევნების მოსაგებადაც აკეთებენ.

— ერთი შენა ხარ აი, სად არჩევნები და სად კიდევ ბებრის კბილები?

— აი, რას ნიშნავს, რომ პოლიტიკისა არაფერი გაგეგებათ. გახსოვთ, მიშა ასაკოვან ხალხს კბილების ჩასმას რომ შეპირდა?

— მერე, შენ ფიქრობ, რომ მიშა ბებერ ხალხს კბილებს ჩაუსვამს და არჩევნებს მოიგებს?

— ხალხის გულს მოიგებს, ბრიყვებო, ხალხის გულს, ასეთი საქციელი ქველმოქმედებად ჩაეთვლება და ივანიშვილს გადაუჯოკრავს.

— ივანიშვილი ქველმოქმედებას დიდი ფულის წყალობით ეწევა, მიშას პლასტმასის კბილები ვის რაში სჭირდება?

— აი მაგდენიც არ გესმით. ბიძინას უვარგისი რუსული ფული უმალ შემოეხარჯებათ, — უხსნის გოგია, — მიშას ნაჩუქარი კბილები კი სიკვდილის შემდეგაც გაჰყვებათ.

— საავადმყოფოს სამშობიაროში რო შევარდება ხოლმე და თოთო ბავშვებსა ჰკოცნის, იქნებ ამასაც ივანიშვილის დასაჯაბნად აკეთებს?

— და იმასაც, ახალგახსნილ საავადმყოფოებში სამედიცინო აპარატურა ჩამოტარებით რომ შეაქვს? — დაამატა ჯუმბერამ.

— რაო კაცო, აპარატურა ჩამოტარებითო? — ტაში შემოჰკრა ვირიპარიამ, — მაგ ჩემალალებს სამედიცინო დანადგარები ქელეხში ჩამოტარებული ხაშლამა ხომ არ ჰგონიათ?

— რა მოხდა მერე, — დაუყვავა გოგიამ, — მაგას კახელები ეკონომიის მიზნით ვაკეთებთ. თუ ხაშლამა ცოტაა, ჩამოვატარებთ, თუ ბევრია — საინებით ჩავდგამთ. აბა როგორ, წესი და რიგია ასეთი.

— აბა კაცო, ჩვენი პრეზიდენტი პირდაპირ ჭკუის კოლოფია, სულ რამდენიმე თვეა ყვარელში ადგილმამული შეიძინა და უკვე კაი მომჭირნე კახელივით იქცევა.

**ოტია ჩართოლანი**

## გამოსათხოვარი

# თენგიზ ნარიმანიშვილი



საოცრად გული გვატკინეთ, ბატონო თენგიზ, ყველას, ვისაც თქვენთან ურთიერთობა გვქონია.

ხელგეწიფებოდათ და ყოველდღე გვიტარებდით უშურველად ზრდილობის, კულტურის და წესიერების გაკვეთილებს. თქვენი განვლილი ცხოვრება კაცურკაცობის მაგალითია და რჩება იმედი, რომ თქვენი გენის მატარებელნი გააგრძელებენ თქვენს მიერ არჩეულ უანგარო შრომით, სიკეთით და სიყვარულით გამთბარ გზას.

თქვენი სათაყვანო თბილისის და მთლიანად სამშობლოს სიყვარულით გალიეთ წუთისოფელი და შევთხოვთ უფალს, ნათელი დაგიმკვიდროთ ზეციურ საქართველოში.

თვალცრემლიანი გემშვიდობებით თქვენი მეგობრები სპორტკლუბ „მიმინოდან“.

## ინფორმაცია

### სოხუმის ცენტრში რესტორანი და ფოსტა დაიწვა

**სოხუმის ცენტრში ორსართულიანი შენობა მთლიანად დაიწვა. შენობაში განლაგებული იყო, საცხოვრებელი ბინები, „გლავპოჩტამტი“, იაპონური რესტორანი სახელწოდებით „კიბორჩხალა“. ინფორმაციას ამის შესახებ აფხაზური მედია ავრცელებს. წინასწარი ინფორმაციით, ხანძრის შედეგად არავინ დაშავებულა.**

**შენობა ვორონოვის სახელობის ქუჩაზე მდებარეობდა. შენობაში ასევე განლაგებულია მაღაზიები და სილამაზის სალონები.**

**— წინასწარი ინფორმაციით, ხანძარი რესტორნის სამზარეულოში გაჩნდა, — იუწყება მედია.**

**მათივე ინფორმაციით ხანძარს რვა სახანძრო მანქანა აქრობდა.**

## მოგვმართავენ, გვეკითხებიან

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

**კითხვა: როცა მუშაობა დავიწყე, დამსაქმებელს შრომის შინაგანაწესი არ გაუცვნია. ამჟამად კი ისეთ შეზღუდვებს მიწესებს, რაც შრომის ხელშეკრულებით არ იყო გათვალისწინებული და მეუბნება, ეს შინაგანაწესით გვქონდა დადგენილი და შენთვის მისი შესრულება სავალდებულოაო. აქვს ამის უფლება?**

**კახაბერ შალუტაშვილი**

**პასუხი:** კანონის თანახმად, შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს, რომ შრომის შინაგანაწესი ხელშეკრულების ნაწილია. ამ შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია, პირს შრომის ხელშეკრულების დადებამდე გააცნოს შრომის შინაგანაწესი, ხოლო შემდგომში - მასში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება. თუ თქვენი სამუშაოზე მიღების დროს, ზემოაღნიშნული პირობები არ ყოფილა დაცული, ამჟამად დამსაქმებლის მოქმედება კანონსაწინააღმდეგოა.

* * *

**კითხვა: თუ შეიძლება, განმიმარტეთ, მოქმედი შრომის კოდექსი როგორი წესით ითვალისწინებს დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების გაცემას?**

**მელორ ძარსელაძე**

**პასუხი**: საქართველოს შრომის კოდექსის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად შრომის ანაზღაურება უნდა გაიცეს სამუშაო ადგილზე, თვეში ერთხელ ან დამსაქმებლისა და დასაქმებულის ურთიერთშეთანხმებით — ბანკის მეშვეობით.

* * *

**კითხვა: დამსაქმებელმა, რომელთანაც ვმუშაობდი, გამოგვიცხადა ლოკაუტი, ე. ი. დროებით გვითხრა უარი მოცემული სამუშაოს შესრულებაზე. დასაქმებულთა ჯგუფმა გავასაჩივრეთ მისი გადაწყვეტილება. სასამართლომ ჩვენი საჩივარი სამართლიანად ცნო და ლოკაუტი უკანონოდ ჩათვალა. გთხოვთ გვაცნობოთ, არის თუ არა ვალდებული დამსაქმებელი, აგვინაზღაუროს იმ პერიოდის ხელფასი, როცა ყოვლად უმიზეზოდ არ მოგვცა სამუშაოს შესრულების უფლება?**

**ვაჟა ნიკოლაიშვილი**

**პასუხი**: დიახ, უნდა გადაგიხადოთ, ვინაიდან კანონის თანახმად, თუ სასამართლომ ლოკაუტი უკანონოდ სცნო, დამსაქმებელი ვალდებულია, აღადგინოს შრომითი ურთიერთობა დასაქმებულთან და აუნაზღაუროს გაცდენილი სამუშაო საათები.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 299-62-77.**

## ატომური ენერგეტიკა

# ფუკუსიმას ტრაგედიის მიუხედავად

**მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების მოსახლეობამ ბოლო დროს, განსაკუთრებით იაპონიის დამანგრეველი მიწისძვრის შემდეგ, კარგად შეიგნო იმ საფრთხეთა რეალობა, რომლებიც ატომური ელექტროსადგურების ტექნიკური აღჭურვილობის მოძველებას, ბუნებრივ კატაკლიზმებსა და შესაძლო სამხედრო ძალთა დაპირისპირებას შეიძლება მოყვეს. ატომურის ნაცვლად ენერგიის ალტერნატიული, კერძოდ, განახლებადი წყაროებიდან მიღებას სულ უფრო მეტი მოქალაქე მოითხოვს.**

მართალია, ატომური ელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია უფრო იაფია, მაგრამ ცოტა ხნის წინათ კომპანიების „ბიბისისა“ და „გლობალსქანის“ მიერ ჩატარებული გამოკითხვა ცხადყოფს, რომ მრავალ ქვეყანაში ატომური ენერგეტიკა სულ უფრო ნაკლები პოპულარობით სარგებლობს. აქვე საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ატომური ენერგეტიკა ძველებურად პოპულარული მხოლოდ დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებშია, სადაც, როგორც ჩანს, ხალხს მისი უსაფრთხოებისადმი უფრო მეტი ნდობა აქვს. სხვა მხრივ კი, უნდა ითქვას, რომ მსგავსი გამოკითხვა ბოლოს დაახლოებით შვიდი წლის წინათ რვა ქვეყანაში ჩაატარეს და მაშინ იმ ქვეყნებში, სადაც ატომური ენერგეტიკა განვითარების საკმაოდ მაღალ დონეზეა, მისდამი ნდობის ხარისხი გაცილებით მაღალი იყო.

„გლობალსქანისა“ და „ბიბისის“ ბოლოდროინდელი გამოკითხვით კი გაირკვა, რომ ატომურ ენერგიას შედარებით უსაფრთხოდ, იაფად და, შესაბამისად, მის ხარჯზე ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების გაზრდას აუცილებლად გამოკითხულ რესპონდენტთა 22 პროცენტი მიიჩნევს. მათი 71 პროცენტი კი თვლის, რომ უახლოეს ორ ათეულ წელიწადში განვითარებული ატომური ენერგეტიკის მქონე ქვეყნები ატომური ელექტროსადგურების მშენებლობაზე სულაც უარის თქმას შეძლებენ. გამოკითხულთა 39 პროცენტი თანახმაა, რომ არსებული რეაქტორების გამოყენება კვლავაც გაგრძელდეს, მაგრამ ახლების აშენების წინააღმდეგია. მოქალაქეთა 30 პროცენტს კი ატომური ენერგეტიკის პანიკური შიში აქვს და ახლების მშენებლობის კი არა, ამჟამად მოქმედი რეაქტორების დაუყოვნებლივ დახურვის მოთხოვნის მომხრეა.



იაპონიაში ფუკუსიმას ატომურ ელექტროსადგურზე მიწისძვრისა და ცუნამის შედეგად მომხდარი ავარიის მიუხედავად, ატომური ენერგეტიკისადმი თვით იაპონელთა დამოკიდებულება, 2005 წელს ჩატარებული გამოკითხვის შედეგებთან შედარებით, მაინცდამაინც არ შეცვლილა. სულ სხვა შედეგებია ევროპაში: თუ გერმანიაში, საფრანგეთსა და რუსეთში იაპონური ტრაგედიის შემდეგ ხალხი ატომურ ენერგეტიკას დიდად უნდობლად უცქერის, ინგლისში მის მომხრეთა რიცხვმა საგრძნობლად იმატა. აღსანიშნავია ისიც, რომ ახალი ატომური ელექტროსადგურების აშენების აუცილებლობის იდეას უამრავი მომხრე ჰყავს ისეთ ზესახელმწიფოებში, როგორებიც ჩინეთი და ამერიკის შეერთებული შტატებია. და ასე ფიქრობს ქვეყნის მოსახლეობის 40 პროცენტზე მეტი, რაც ძალიან ბევრია.

ასევე საგულისხმო გარემოებაა ის, რომ ატომურ ენერგეტიკაზე ხელის აღების კატეგორიული წინააღმდეგია ასევე მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელთა შორის ამ მხრივ განსაკუთრებულად ყურადსაღებია ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს (IAEAძ სპეციალისტთა და მესვეურთა აზრი.

მსოფლიო ბირთვული ასოციაციის დირექტორის ჯონ რიჩის აზრით კი ფაქტები ატომური ენერგეტიკის სარგებლობას მოწმობენ და იმას მეტყველებენ რომ ფუკუსიმას ავარიის შემდეგ ატომური ელექტროსადგურები შეუდარებლად უფრო უსაფრთხონი გახდებიან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პოლიტიკოსებმა პატივი უნდა სცენ საზოგადოებრივ აზრსაც და მოწინავე საინჟინრო აზრის ხარისხობრივი ნახტომიც უნდა გაითვალისწინონ.

თუ მართლა ასეა, მაშინ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახალი ატომური ელექტროსადგური, რომლის აშენებას, არსებული ინფორმაციით, მეზობელ სომხეთში გეგმავენ, ასევე საინჟინრო აზრის ბოლო მიღწევების გათვალისწინებით იქნება აგებული და უსაფრთხოების მხრივ ყველაფერი, რომ იტყვიან, „ხუთიანზე იქნება“. მაგრამ ვიდრე ეს მოხდება, მანამდე რა საფრთხეს წარმოადგენს მეწამორში დღესდღეობითაც მოქმედი, პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთ-ერთი ყველაზე ხანდაზმული და მოძველებული ტექნიკით აღჭურვილი ატომური ელექტროსადგური, ზუსტად არავინ იცის. არადა, სომხეთში მისი გაჩერების იდეასაც კი არ განიხილავენ, ამდენად, ისევ იმის იმედად უნდა ვიყოთ, რომ ვიდრე ის მუშაობს, არაფერი კატასტროფა არ მოხდება.

**ოთარ ტურაბელიძე**

## დაიჯესტი

### სახიფათო ქსელები




**სოციალური ქსელები ვირტუალური ღალატების პროვოცირებას ახდენს, რაც ოჯახების დანგრევის რეალურ მიზეზად იქცევა.**

**გაყრის მსურველთა მომსახურე ინგლისურმა იურიდიულმა კომპანია Divorce online-ს სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ 2011 წელს დიდ ბრიტანეთში მომხდარ განქორწინებათა მესამედი FACEBOOK-ის „შუამავლობით“ მოხდა.**

ფირმის იურისტებმა განქორწინების თაობაზე დაახლოებით ხუთი ათასი განცხადების გაანალიზების შემდეგ გამოიტანეს დასკვნა: სხვა მიზეზებთან შედარებით შემთხვევათა უმეტესობაში გაყრის საბაბი ერთ-ერთი მეუღლის სოციალურ ქსელში საპირისპირო სქესის წარმომადგენლებთან ზომიერებას გადასული ურთიერთობა იყო. აღმოჩნდა, რომ ვირტუალური ფლირტი არა მარტო მეუღლესთან ურთიერთობის დროის ხარჯზე ხდებოდა, არამედ, გარკვეულწილად, ინტიმურ ცოლქმრულ ურთიერთობებსაც ანაცვლებდა. ზედმეტად თავისუფალი მიმოწერა მრავალ აწ უკვე ყოფილ მეუღლეს თანდათან სულ უფრო მეტ დროს ართმევდა, თანაც უკიდურესად ფრივოლურ ხასიათს იძენდა. ბუნებრივია, რომ ამას მეუღლეები ვერ ეგუებოდნენ.

საგულისხმოა, რომ ორი წლის წინათ FACEBOOK-ის მიმართ მსგავს ბრალდებას გაყრილ წყვილთაგან მხოლოდ ოცი პროცენტი აყენებდა. ამდენად, განვლილმა დრომ წარმოაჩინა, თუ რამდენად უფრო გავლენიანი და, რაც მთავარია, სახიფათო გახდა სოციალური ქსელი.

### გონივრული პოლიტიკის შედეგი

**სამხრეთ კორეის დედაქალაქი სეული სარეიტინგო კომპანია „ერიკსონისა“ და კონსალტინგური კომპანია „არტურ დლითლის“ ერთობლივი გამოკვლევის შედეგად, მსოფლიოს ყველაზე „ჭკვიან“ ქალაქად აღიარეს.**

სეულის გარდა რეიტინგში ასევე 25 მეგაპოლისი შეიყვანეს, რომელთაგან „ჭკვიანი“ ქალაქის ათეულში არიან **სინგაპური, სტოკჰოლმი, ლონდონი, ნიუ-იორკი, პარიზი, ტოკიო, ლოს-ანჟელესი, შანხაი**



**და პეკინი.** აღსანიშნავია, რომ რეიტინგი შეადგინეს ისეთ მონაცემთა გათვალისწინებით, როგორებიცაა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, რომლებიც, საბოლოო ანგარიშით, მოსახლეობის კეთილდღეობას უწყობს ხელს. კვლევის ავტორები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ განსაკუთრებით აღსანიშნავია ბოლო დროს სეულში, სინგაპურსა და სტოკჰოლმში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა, რომელთა წყალობით იქ მრავალი სოციალური, ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური პრობლემა გადაიჭრა. კერძოდ, სინგაპურში აქტიურად დაიწყეს ჯანდაცვის სფეროში ინოვაციების დანერგვა, საგზაო მოძრაობის მოწესრიგება, სეულში კი ამ ტექნოლოგიური გარღვევის წყალობით აქტიურად შეუდგნენ გარემოსდაცვითი ინიციატივების განხორციელებას.

### მშიერი დათვების „რეიდები“

**სახალინის კუნძულზე დამშეულმა დათვებმა ტყიდან გამოსვლა დაიწყეს! მშიერ მტაცებელთაგან თა-**



**ვის დასაცავად და შინაურ ცხოველთა გადასარჩენად, ადგილობრივმა ხელისუფლებმა ათი ტონა თევზი შეიძინე მშიერ დათვთა „დასაპურებლად“!**

შორეულ სახალინზე სადღეისოდ შექმნილი ვითარება ერთ ცნობილ შორეულ აღმოსავლურ თქმას მოგვაგონებს: „კანონი ტაიგაა, პროკურორი კი – დათვი!“, რადგან ბოლო დროს იქ სრული უკანონობა სუფევს. საქმე ის არის, რომ დამშეულმა დათვებმა მოქალაქეთა საცხოვრისებზე „შიმშილის რეიდების“ განხორციელება დაიწყეს, რასაც შინაური ცხოველები, მათ შორის ძაღლები და კატებიც ეწირებიან. სახალინზე ახლა ტემპერატურა წლის ამ დროისთვის უჩვეულოდ მაღალია, ამიტომაც დათვებს „არ ეძინებათ“ და უთავბოლოდ დაბორიალობენ, თან შიმშილიც აწუხებთ...

– წლეულს მდინარეებში ცოტა ორაგული იყო, ამიტომ დათვებმა ქონის მოდება ვერ შეძლეს, – ასე ხსნიან სახალინურ ამბებს სპეციალისტები. – საიმისოდ, რომ ზამთარში დაიძინონ, დათვებს 9-14 სანტიმეტრის კანქვეშა ქონი უნდა ჰქონდეთ დაგროვილი, ახლა კი მისი მარაგი 3 სანტიმეტრზეც არ არის! ამიტომაც არის, რომ დათვებმა ისევ ადამიანის სახლებს მიაშურეს, მართალია, ისინი მათ თავს არ ესხმიან, მაგრამ ოცამდე დათვი უკვე გახდა სოფლებში სტუმრობის მსხვერპლი. ის ათი ტონა თევზიც ნეველის რაიონში იმიტომ შეიძინეს, რომ მშიერ ცხოველებს აჭამონ და დასახლებული პუნქტებიდან მოიცილონ.

## ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● მათი იარაღი ორპირა სეკირა-ხანჯალი, შუბი და ნახევარმთვარის ფორმის ფარი იყო. ლეგენდა მათ შესახებ განსაკუთრებით პოპულარული იყო დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქაში და მათ ამერიკაში ეძებდნენ, ამიტომ სწორედ ამერიკული სახელი უწოდეს – ამაზონები.

● როდესაც სპარსელები ეგვიპტის ქალაქ პილუზუს დასაპყრობად მიადგნენ, ქალაქი უბრძოლველად დანებდა, რადგანაც სპარსელებს ხელში კატები ეჭირათ, ხოლო ეგვიპტელებმა წმინდა ცხოველებზე – კატებზე ხელი ვერ აღმართეს.

● დაახლოებით ძვ.წ. VI-V საუკუნეებში შეიქმნა პოემა „ბატრაქომიომაქია“, ანუ „თაგვებისა და ბაყაყების ომი“, რომელიც ჰომეროსის „ილიადის“ პაროდია იყო.

● პლუტარქეს გადმოცემით, ძვ.წ. XII საუკუნეში, ტროას დაცემის შემდეგ, ცოლებთან ერთად გაქცეული ტროელები ტიბრის სანაპიროზე შეჩერდნენ და ცოლებმა, ქმრები ოჯახებს რომ ველარ მოშორებოდნენ, ხომალდები დაწვეს.

● ჰომეროსმა სიბრძნის ქალღმერთ ათენას უწოდა „ბუსთვალება“, რადგანაც ბუ სიბრძნის სიმბოლოა.

● ლეგენდის მიხედვით, მამაკაცებს აკრძალული ხილის კვალი დარჩათ ყელზე – „ადამის ვაშლი“.

● ლეგენდის მიხედვით მგზავრობის დროს დაღლილ ბუდას უდაბნოში ჩაეძინა. არსებას, რომელმაც კაპიუშონით მოუჩრდილა მზე, ბუდა მადლიერების ნიშნად ორი თითით შეეხო და ისეთი ნიშანი დაუტოვა, რითაც ის თავის თანამოძმეთაგან გამოირჩევა და მას ასეც ჰქვია – სათვალიანი გველი.

● საფრანგეთის მეფე ფილიპე VI-მ კარის მოხელეებს ჰკითხა: „რატომ ხვდება გადასახადებისაგან ამოღებული თანხა ხაზინაში ასე შემცირებული?“ მეფის მასხარამ იქ მყოფთ ერთმანეთისთვის გადასაცემად გადასცა ყინულის ნატეხი, რითაც ამ კითხვაზე ორიგინალური პასუხი გასცა.

● ზევსმა ესკულაპი სიკვდილის შემდეგ გველის თანავარსკვლავედად გადააქცია.

● „მამა დაგრეხილი, დედა დაჭყლეტილი, შვილი გადარეული“ – ამ ხალხური გამოცანის პასუხია – ვაზი, ყურძენი და ღვინო.

● ბერძნულ მითოლოგიაში ღუზაზე დაყრდნობილი ქალი იმედის სიმბოლო იყო.

● ბიბლიური ქალაქები სოდომი და გომორა გარყვნილების სინონიმად იქცა.

● გაიუს იულიუს კეისარმა ნახა სიზმარი, რომელმაც ის საშინლად შეაძრწუნა. ესიზმრა, თითქოს ქალს აუპატიურებდა. კეისარი დაამშვიდეს, რომ სიზმარი მას მსოფლიო ბატონობას უწინასწარმეტყველებდა, რადგანაც ქალი, რომელიც სიზმარში ნახა, დედამიწის სიმბოლოა. სიზმარში კი კეისარმა თავისი დედა ნახა.

მოგვაწოდა
ტიტე კოპალეიშვილმა

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

– სკოლაში ცუდად ვსწავლობდი, – იხსენებს ტიპი, – რის გამოც დედაჩემს სისტემატურად იბარებდნენ დირექტორთან. მერე კარგად დავიწყე სწავლა და დედაჩემსა და დირექტორს სხვა შეხვედრის ადგილის ძებნა მოუხდათ.

* * *

– გადადი ერთი მეზობელთან და ჩაქუჩი სთხოვე, ლურსმნის ჩაჭედება გვინდა-თქო, – ეუბნება მამა შვილს.

ცოტა ხანში შვილი ხელცარიელი დაბრუნდა, – მეზობელმა ჩაქუჩი არ გვათხოვა, ასე თქვა, გაცვდებაო.

– ხედავ, შვილო, როგორი ძუნწია ეს ჩვენი მეზობელი? ჯანდაბას, ჩვენი ჩაქუჩი მომაწოდე.

* * *

ქალი ღამით უკაცრიელ ქუჩაში მიდის. უცებ ვიღაცამ ხელი სტაცა და ბუჩქებში შეათრია.



– მიშველეთ, – მძარცვავენ! – ყვირის ქალი.

– კი არ გძარცვავენ, გაუპატიურებენ, – ეუბნება კაცი და შარვალს იხდის.

ქალმა ერთი კი შეხედა მას და:

– თუ ამით მიპირებთ რამეს, ვგრძნობ, რომ უფრო მეტად მძარცვავენ, ვიდრე მაუპატიურებენ.

* * *

ქმარი – ეს მამაკაცია, რომელსაც ნანახი ჰყავხართ მთვრალი, შიშველი, უმაკიაჟო, სისულელეების მოლაპარაკე, მტირალი, მომკივარი და, რაც უნდა გასაკვირი იყოს, აქამდე მაინც თქვენთან ცხოვრობს.

* * *

მოში მეზობელთან შევიდა და კედელზე რეპროდუქცია დაინახა.

– ესენი ვინ არიან?

– წმინდა ოჯახია.

– მერე რად არიან მხოლოდ ზეწრებშემოხვეულნი? სად არის ამის კაბა ან ამის პიჯაკი?

– მათ არ ჰქონდათ ტანსაცმელი.

– რად არიან ფეხშიშველები?

– მათ არ ჰქონდათ ფეხსაცმელი.

– ჰმ... უტანსაცმლოდ და უფეხსაცმლოდ დადიან და ფოტოს გადასაღებად კი უშოვიათ ფული.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77; 599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24